CIAN MAGENTA YALLOW BLACK

# ალია

## საპატრიარქოს მაღაზიაში ფალსიფიცირებული პროდუქტი აღმოაჩინეს

რას აცხადებს საპატრიარქო?



N18/2948/ 6 თებერვალი 2014 წ ფასი 1 ლ

ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

### კეზერაშვილის ექსტრადიციისთვის საფრანგეთში გაყალბებული მასალები გადაიგზავნა?



## „ღარიბაშვილის კლანის“ „სია“

### ვინ არიან და რა გზა გამოიარეს „კორუფციულ სქემაში“ მონაწილეებმა ხელისუფლებაში „ოცნების“ მოსვლამდე?




კულუარები

### არასაპარლამენტო ოპოზიციაში დიდი განხეთქილება დაიწყო!





## რას მოიგებს საქართველო ღარიბაშვილის ევროპაში ვიზიტით?

### ჩინელის მიერ ჩადენილ მკვლელობაზე ხმაურის ატეხვა არ შეიძლება?





## ექსკლუზივი

### მთავარი პროკურორის კიდევ ერთი გასაიდუმლოებული ბრძანება



### რა მოთხოვნების შესრულებას აიძულებენ თანამშრომლებს?

### უუნარო მთავრობა და საფლავებით ნაშოვნი 20 მილიონი



ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### ყინვები კვირის ბოლომდე შენარჩუნდება



აღმოსავლეთ საქართველოში 6 თებერვლიდან ღამით ყინვები კვირის ბოლომდე შენარჩუნდება. თბილისში, გასულ ღამით -11 გრადუსი დაფიქსირდა, საგარეჯოში -14; თელავში -12; დედოფლისწყაროში -13; ყვარელსა და სიღნაღში -10; გორში -15; ბაკურიანში -17; აგარაში -12; ახალქალაქში -22. ყველაზე დაბალი ღამის ტემპერატურა წალკაში დაფიქსირდა -25 გრადუსი.

დასავლეთ საქართველოში გასულ ღამით შედარებით დაბალი ყინვები დაფიქსირდა. ზუგდიდში -5; ზესტაფონში -4; ქუთაისში -2; ქობულეთში -1 მესტიაში -14; ბათუმში +4. თბილისსა და კახეთში დღისით დადებითი ტემპერატურა დაფიქსირდება, თუმცა ღამით შედარებით დაბალი ყინვები კვირის ბოლომდე შენარჩუნდება. აღმოსავლეთ საქართველოში დღეს ღამით დაბლობში -12;-7; თბილისში -8; მთაში -18; ხოლო მაღალმთაში -25 გრადუსი დაფიქსირდება.

6 თებერვალს დღისით თბილისში +4; აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობში 0;+5; მთაში -1;+4, მაღალმთაში -6;-1 გრადუსი იქნება. დასავლეთ საქართველოს დაბლობში დღეს +3;+8 გრადუსი; მთაში დღისით -2;+3, ხოლო მაღალმთაში -4;+1 გრადუსია მოსალოდნელი. (ინტერპრესნიუსი)

### ღარიბაშვილმა პროკურატურა დაიცვა



დავით კეზერაშვილის წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლებას პრემიერი ბრიუსელიდან ეხმაურება და აცხადებს:

„საფრანგეთის სასამართლოს მიერ იყო მიღებული გადაწყვეტილება, რომ კეზერაშვილი წინასწარ პატიმრობაში აღარ დაეტოვებინათ და მას შინაპატიმრობა მიუსაჯეს. ამ გადაწყვეტილებაში, ბუნებრივია, საქართველოს პროკურატურის როლი ვერანაირად ვერ იქნებოდა გამოკვეთილი. ეს არ არის „ნაციონალური მოძრაობის“ დროინდელი სასამართლო. ესაა საფრანგეთის რესპუბლიკის დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ამ ვითარებაში საქართველოს პროკურატურის როლი, ბუნებრივია, ვერ გამოიკვეთებოდა. კეზერაშვილის ექსტრადირებაზე მიმდინარეობს მოლაპარაკება, გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული და ჩემი ინფორმაციით, 28 თებერვალს იქნება. შესაბამისად, მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია ვისაუბროთ და განვსაჯოთ, რამდენად ეფექტურად იმუშავა პროკურატურამ“, – აღნიშნა ღარიბაშვილმა.

(ინტერპრესნიუსი)

## რამდენი დაიხარჯა ტურიზმის რეკლამირებაში?

„საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია" განცხადებას ავრცელებს:

„მხოლოდ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2013 წლის ბიუჯეტიდან ქვეყნის რეკლამირებისთვის დაიხარჯა 3 248 133 ლარი. აქედან, 1 469 173 გახლდათ პირდაპირი სარეკლამო კამპანიების ხარჯი უკრაინაში, აზერბაიჯანსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში. სწორედ ამ ქვეყნებიდან ყველაზე მეტად არის გაზრდილი შემოსული ვიზიტორების რიცხვი. 425 917 ლარი დაიხარჯა 23 ქვეყნიდან 100-მდე ჟურნალისტისა და 160 ტუროპერატორის მოწვევაზე საქართველოში, მათთვის პრეს და საინფორმაციო ტურების მოწყობაზე. 181 911 ლარი კი მოხმარდა 12 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში მონაწილეობას. ჯამში, უცხოურ პრესაში (თურქეთი, უკრაინა, ლატვია, ლიტვა, გერმანია, კორეა, რუსეთი, ყაზახეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, აშშ, ისრაელი, აზერბაიჯანი, ჩინეთი და სხვა) საქართველოს შესახებ 50-ზე მეტი სტატია და სატელევიზიო სიუჟეტი მომზადდა, რომელთა საერთო ნახვამ ათეულობით მილიონი შეადგინა. მომზადებული სტატიები და სიუჟეტები პოზიტიური კუთხით წარმოაჩენენ ჩვენს ქვეყანას, როგორც მიმზიდველ ტურისტულ მიმართულებას და ზოგადად, ამაღლებენ და აძლიერებენ ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს. აქტივობების უმეტესი ნაწილი სწორედ 2013 წლის მეორე ნახევარში განხორციელდა", – ნათქვამია განცხადებაში. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

„ნაციონალური მოძრაობა" პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისა და მისი სიმამრის, თამაზ თამაზაშვილის „მსხვილ კორუფციულ სქემას" აქვეყნებს.

როგორც პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, მათ თავის კონტროლქვეშ მოაქციეს ტენდერის გამომცხადებელი სტრუქტურა, შემსრულებელი ფირმები და შემმოწმებელი კომპანია.

„პრემიერის მეუღლის (თამაზაშვილის ქალიშვილის) ნუნუკა თამაზაშვილის ბიძაშვილი იოსებ ქადაგიშვილი დაინიშნა ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ და სატენდერო კომისიის თავმჯდომარედ.

ში იგივე ფირმამ 6 მილიონი ლარის ოდენობის სახელმწიფო შეკვეთა შეასრულა, ანუ, საშუალოდ, წელიწადში 20-ჯერ ნაკლები, ვიდრე უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში).

კლანმა ზეწოლის შედეგად აიძულა დაგებული საფარის შემმოწმებელი ერთადერთ ფირმა შპს „საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის ზედამხედველობის დირექცია" ქვეკონტრაქტორად აეყვანა შპს „ვილსფორტ მენეჯმენტი", რომლის ტექნიკური დირექტორი არის ელდარ ხუციაძე, შპს „სერპანტინის" 31%-ის მფლობელის, ნუგზარ ხუციაძის მამა.

„შპს ვილსფორტ მენეჯმენტის" 50%-ის მფლობელი არის, აგრეთვე, კახა ბაინდუ-




# რას იტყუება ნაცმოძრაობა კომპანია „სერპანტინთან" დაკავშირებით

ერთი წლის განმავლობაში საგზაო მშენებლობაში გამოცხადებულ ტენდერებში უკვე 9-ჯერ გაიმარჯვა შპს „სერპანტინმა" (ჯამური ღირებულება 15 მილიონი ლარი), მათ შორის 12.5 მილიონი ლარის ტენდერები სწორედ ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მასზე დაქვემდებარებული ორგანიზაციის მიერ იქნა გამოცხადებული. გარდა ამისა, პირდაპირი შესყიდვის წესით კომპანიასთან გაფორმებულია რამდენიმემილიონიანი ხელშეკრულებები.

„სერპანტინის" 51%-ის მფლობელია 65 წლის ქალბატონი თამარ ჯანყარაშვილი, შს მინისტრის მოადგილის, გიორგი ზედელაშვილის დედა და შსს გენინსპექციის უფროსის, თამაზაშვილის დისშვილის, ზვიად ჯანყარაშვილის ახლო ნათესავი.

აღნიშნულმა კომპანიამ ერთი წლის განმავლობაში მოიგო, ჯამში, 15 მილიონ ლარზე მეტი მოცულობის ტენდერები (შედარებისთვის, გასული წლების განმავლობა-

რაშვილი, შპს „ტვ3"-ის თანამფლობელი და ძმები ჩხენკელების ბიზნესპარტნიორი. აკაკი ჩხენკელი, შსს-ს გენინსპექციის ყოფილი მაღალჩინოსანია, ანუ ზვიად ჯანყარაშვილის ყოფილი თანამშრომელი, ამჟამად კი პრემიერის კანცელარიის რეგიონული სამსახურის უფროსი. ლაშა ჩხენკელი საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ვიცე-პრეზიდენტი, შპს „ტვ3"-ის თანამფლობელია", – ნათქვამია განცხადებაში.

**„ნაცმოძრაობის ბრალდებებს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ უპასუხა:**

„კომპანია „სერპანტინი", რომელზეც თქვენ საუბრობდით, კომუნისტების პერიოდიდან არსებობს და როგორც ჩემთვის ცნობილია, 1957 წლიდან იყო ის სამართალმემკვიდრე მეცხრე სამმართველოსი და 2000 წელს მოხდა წილების განაწილება. ახლა არ დაუწყია ამ კომპანიას მშენებლობა. სხვათა შორის, 2007-2009 წლებში ამ კომპანიის წლიური ბრუნვა იყო ძალიან მაღალი და რამდენიმე მილიონს აჭარბებს. შეგიძლიათ, ეს ციფრები ნახოთ, თუ მართლა გაინტერესებთ და არ ხართ დაინტერესებული, რომ ცრუ ინფორმაცია გაავრცელოთ. საზოგადოება ამის თაობაზე შეიტყობს. რაც მთავარია, თამაზ თამაზაშვილსა და მის ოჯახს ამ კომპანიასთან არ აქვს არანაირი კავშირი. მისი კავშირის შესახებ ისეთივე ტყუილია, როგორც ის ბრალდება, რომელიც მას თავის დროზე წაუყენეთ, იარაღი რომ ჩაუდეთ, უკანონოდ რომ ამყოფეთ ციხეში. ეს ისეთივე ტყუილია, როგორიც იყო ის კლიპები, რომელსაც თქვენ ამზადებდით, ატრიალებდით ყოველდღიურად და ამ ადამიანს აბრალებდით ათასგვარ სისაძაგლეს. მე კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ, თავი დაანებეთ ამ სიცრუისა და შეურაცხმყოფელი განცხადებების გავრცელებას", – განაცხადა ბესელიამ.

**ბესელიას ნათქვამს ადასტურებს კომპანიის დირექტორი ზურაბ ფეიქრიშვილი:**

„სერპანტინს" არავითარი კავშირი თამაზაშვილების ოჯახთან არ აქვს. თუ შეიძლება კავშირად ჩაითვალოს ის, რომ ზვიად ჯანყარაშვილი და თამარ ჯანყარაშვილი მოგვარეები არიან, არ ვიცი. არავითარი ნათესაური კავშირი მათ შორის არ არსებობს. არც კი იცნობენ ერთმანეთს. ასე ხომ არ შეიძლება, საქართველოში იმდენი გვარია და ყველაზე ხომ ვერ ვიტყვით, რომ ერთმანეთის ნათესავია. არ შეიძლება ასეთი უტიფარი ტყუილების ტელევიზიით გაჟღერება. ამ ხალხს საერთოდ ნამუსი აქვს დაკარგული", – განაცხადა ფეიქრიშვილმა.

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ „სერპანტინის" 51%-იანი წილის მფლობელი ჯანყარაშვილი შს მინისტრის მოადგილის გიორგი ზედელაშვილის დედაა, ფეიქრიშვილი აცხადებს, რომ კომპანიის წილები წლების წინათ გადანაწილდა.

„წილების გადანაწილების დროს 51% გადანაწილდა თამარ ჯანყარაშვილზე, რომელიც იყო გივი ზედელაშვილის მეუღლე. გივი ზედელაშვილი გარდაიცვალა და ბუნებრივია, ის 51% დარჩა თამარ ჯანყარაშვილს", – განმარტა ფეიქრიშვილმა.

„ნაციონალური მოძრაობის" დროს უფრო მეტი გვაქვს გაკეთებული, ვიდრე ახლა. მაგალითისთვის გეტყვით, რომ 2010 წელს 16 მლნ-მდე ღირებულების სამუშაოები გვაქვს შესრულებული. მთლიანი ბრუნვა „ნაციონალური მოძრაობის" პერიოდში დაახლოებით, 50 მლნ-მდეა, შეიძლება, მეტიც. რაც შეეხება ტენდერებს, ის ტარდება ელექტრონული ფორმით და ნაწილი არის პაკეტური სისტემით, რომელიც მსოფლიო ბანკის ტენდერებია. თუ თვითონ იყვნენ მიჩვეულები რაღაცის ჩაწყობას და ვიღაცისთვის რაღაცის მიცემას, ჩვენ ასეთი განებივრებულები არასოდეს ვყოფილვართ", – განაცხადა ფეიქრიშვილმა. (ინტერპრესნიუსი; პირველი)

თემის გაგრძელება მესამე გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ფირმის დირექტორი დოკუმენტების გაყალბებაზე დააკავეს




საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადება-გასაღების ფაქტზე, შპს „ჯეო აზ ელ"-ის დირექტორი დავით ცუცქირიძე დააკავეს.

საგამოძიებო სამსახურის ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა, „ჯეო აზ ელ"-ის სახელით, ერთ-ერთ მეწარმეს 10 000 ლარის სანაცვლოდ, ყალბი საგადასახადო ანგარიშფაქტურა გამოუწერა, რომლის მიხედვითაც, თითქოს საზოგადოებამ მეწარმისთვის 53 614 ლარის ელექტროსამონტაჟო სამუშაოები განახორციელა.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც თავისუფლების აღკვეთას 2-დან 4 წლამდე ვადით ითვალისწინებს. (ინტერპრესნიუსი)

## ყაჩაღობისთვის პოლიციელი დააკავეს



სამართალდამცველებმა 2003 წელს ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები: 1969 წელს დაბადებული გოჩა მ. და შსს-ს სასაზღვრო პოლიციის დეპარტამენტის მეშვიდე სამმართველოს უფროსი, 1968 წელს დაბადებული მინდია არაბული დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, ამავე დანაშაულის თანამონაწილეები – 1978 წელს დაბადებული მამუკა ჩ. და 1971 წელს დაბადებული, ამჟამად სომხეთის რესპუბლიკაში პატიმრობაში მყოფი რევაზ გ. ამხილეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მინდია არაბულმა განიზრახა თავისი მეგობრის, დავით ჩხეიძის კუთვნილ, დიდი ოდენობის თანხას მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებოდა. ამისთვის ის დაუკავშირდა გოჩა მ-ს, მამუკა ჩ-ს და რევაზ გ-ს, გაანდო მათ და შესთავაზა, რომ ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ შსს-ს სასაზღვრო ჯარების დეპარტამენტის საკადრო რესურსების სამმართველოს უფროსის მოვალეობის იმჟამინდელ შემსრულებელს, 1961 წელს დაბადებულ დავით ჩხეიძეს, დაუფლებოდნენ მის კუთვნილ ფულს და შემდეგ გაენაწილებინათ თანხა ერთმანეთში, რასაც ისინი დასთანხმდნენ. გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ მინდია არაბულმა თანამზრახველებს შეატყობინა, რა დროს და რა ადგილას იქნებოდა ჩხეიძე, რომელსაც თან უნდა ჰქონოდა დიდი ოდენობით თანხა. 2003 წლის 3 დეკემბერს, არაბულის დავალებით, გოჩა მ., მამუკა ჩ. და რევაზ გ. ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში თავს დაესხნენ დავით ჩხეიძეს.

შემთხვევას შეესწრო საქართველოს იმჟამინდელი სახელმწიფო უშიშროების თანამშრომელი, 1976 წელს დაბადებული ირაკლი ბასილაშვილი. „თავდამსხმელებმა ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით დავით ჩხეიძეს 25 ათასი აშშ დოლარი, ხოლო ირაკლი ბასილაშვილს „ბერეტას" ტიპის პისტოლეტი გასტაცეს. დაყაჩაღებისას გოჩა მ-მ ცეცხლსასროლი იარაღიდან ერთი გასროლით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა ბასილაშვილს, რომელიც საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. ბრალდებულები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ", – აცხადებენ შსს-ში.

სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გოჩა მ. 2014 წლის 28 იანვარს ბორჯომის რაიონის სოფელ წაღვერში იმ დროს დააკავეს, როცა ის მიმალვას აპირებდა, ხოლო მინდია არაბული 1-ელ თებერვალს ყაზბეგის რაიონში, ლარსის სასაზღვრო გამშვებ პუნქტში, თავის სამუშაო კაბინეტში დააკავეს. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


# „ღარიბაშვილის კლანის“ „სია“

## ვინ არიან და რა გზა გამოიარეს „კორუფციულ სქემაში“ მონაწილეებმა ხელისუფლებაში „ოცნების“ მოსვლამდე?


გიორგი ზედელაშვილი

**„ალია“ დაინტერესდა, რამდენად რეალურია „ნაციონალების“ ბრალდებები? ვინ არიან და რა გზა გამოიარეს დღემდე „ნაციონალების“ მიერ კორუფციულ სქემაში ბრალდებულმა პირებმა? მართლა უწევდნენ თუ არა ტენდერებში ლობირებას „სერპანტინს?**

**„სერპანტინის“ გენერალური დირექტორის ზურაბ ფეიქრიშვილი „ალიასთან“ საუბრისას აბსურდულს უწოდებს იმ ფაქტს, რომ კომპანიამ მხოლოდ წელს მოიგო ტენდერები.**

– მე კომპანიის ხელმძღვანელი ვარ 2008 წლიდან. ტენდერების რაოდენობებს არ აქვს მნიშვნელობა, მაგრამ გეტყვით, რომ 2010 წელს გვქონდა 16-მილიონიანი ბრუნვა, 2012 წელს მქონდა 14 700 000 ლარის ბრუნვა, 2013 წელს გვქონდა 14 136 000 ლარის ბრუნვა. ის ბრალდება, რომ გასულ წლებში მხოლოდ 6-მილიონიანი ბრუნვა გვქონდა, სინამდვილეს არ შეესაბამება. 6 მილიონი ბრუნვა გვქონდა მხოლოდ 2007 წელს.

**— ტენდერებში ვინ იყვნენ კონკურენტი ფირმები და რა უპირატესობების ხარჯზე გაიმარჯვეთ?**

– ვერ დაგისახელებთ კონკურენტ ფირმებს, რადგან ტენდერი ელექტრონულად ტარდება და ეს ინფორმაცია დახურულია. ჩვენი კომპანია 2000 წლიდან არის ჩამოყალიბებული და ამ დროიდან ვმონაწილეობთ სხვადასხვა ტენდერში.

**— ჩვენ მოვიძიეთ ინფორმაცია, რომ თქვენი კომპანია იყო „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი დამფინანსებელი. რატომ აფინანსებდით, რამე კავშირები გქონდათ მათთან?**

– გიდასტურებთ ამ ინფორმაციას. ჩვენ წინასაარჩევნოდ 100 000 ლარი ჩავურიცხეთ „ნაციონალურ მოძრაობას.


იოსებ ქადაგიშვილი

„თავისუფალი საქართველოს“ კახეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი მოსიაშვილი კომპანია „სერპანტინს“ კახეთში უხარისხო გზების დაგებაში ჯერ კიდევ 2011 წელს ადანაშაულებდა. ის აცხადებდა, რომ „სერპანტინი“ რომელიც კახეთში ინფრასტრუქტურული სამუშაოების ძირითად ნაწილს აწარმოებს, „ნაციონალურ მოძრაობას“ აფინანსებდა და ამავდროულად გზის საფარის დაგებას უხარისხოდ ახორციელებდა“, – აცხადებდა მოსიაშვილი.

რა კრიტერიუმებით შეარჩია საავტომობილო გზების დეპარტამენტმა „სერპანტინი“ და რატომ მიანიჭა მას უპირატესობა? „ალია“ საავტომობილო გზების დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელს რუსუდან ხუბულავას დაუკავშირდა. „რა ნიშნით შეირჩა კომპანიები, ამაზე გზების დეპარტამენტში კვალიფიციურ პასუხს ვერავინ გაგცემთ, ვინაიდან ტენდერების თემა შესყიდვების ეროვნულ სააგენტოს ეხება“, – გვითხრა ხუბულავამ.

შესყიდვების ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე კი ირკვევა, რომ „სერპანტინმა“ მოგებული ტენდერების საშუალებით განახორციელა ქალაქ თელავში ჭავჭავაძის ქუჩის რეაბილიტაცია, ასევე სოფელ კურდღელაურში ცენტრალური დაზიანებული მოასფალტებული გზის რეაბილიტაცია და წნორი-დედოფლისწყარო-ქვემო ქედის გზის 50 კვ.მ გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამ ტენდერში „სერპანტინის“ პრეტენდენტი მხოლოდ ერთი ფირმა იყო. თუმცა, რამდენიმე ტენდერი ისე მოიგო, სადაც ოთხი და მეტი კონკურენტი ჰყავდა.

**ახლა ვნახოთ, რა გზა გამოიარეს „ბრალდებულმა“ პირებმა?**

შინაგან საქმეთა მინისტრის ამჟამინდელი პირველი მოადგილე გიორგი ზედელაშვილი უშიშროების სამსახურში ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის დროს მუშაობდა, თუმცა მისი მაშინდელი თანამდებობა ვერ გავარკვიეთ, სააკაშვილის რეჟიმის დროს კი, უშიშროებაში სხვადასხვა სამმართველოს უფროსი იყო. ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ ზედელაშვილი ჯერ საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ადმინისტრაციის ოპერატიული დაგეგმვის სამმართველოს უფროსი გახდა, შს მინისტრად ალექსანდრე ჭიკაიძის დანიშვნის შემდეგ კი მის პირველ მოადგილედ დაინიშნა. დღევანდელ ხელისუფლებას არაერთხელ გაწუცხადებია, რომ ზედელაშვილი „ნაცმოძრაობის“ იდეური მხარდამჭერი არასდროს ყოფილა და მხოლოდ რიგითი თანამშრომელი იყო. შეძლებდა თუ არა რიგითი ადამიანი პოლიტიკური სიმპათიების გარეშე ყოფილიყო უშიშროების სამინისტროში სხვადასხვა სამმართველოს უფროსი, ამაზე დასკვნა მკითხველმა გააკეთოს.

არის თუ არა სქემაში მოხსენიებული ზვიად ჯანყარაშვილი ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრის, თამაზ თამაზაშვილის დისშვილი? დიხ, ეს ინფორმაცია დასტურდება. შსს-ს გენინსპექციის უფროსად დანიშვნამდე 2012 წლის 1-ლი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის, სიღნაღში, „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობდა. რას საქმიანობდა ის პოლიტიკაში ივანიშვილის გამოჩენამდე, უცნობია, ვინაიდან მისი ბიოგრაფიული ცნობების შესახებ ინფორმაცია ინტერნეტში არ მოიპოვება.

რაც შეეხება ამჟამად გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს იოსებ ქადაგიშვილს, ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლამდე ის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და მართვის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი იყო, მოგვიანებით შპს „იკას“ შესყიდვების მენეჯერი გახდა. გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილეობამდე კი შპს „სეიფი“ დააფუძნა და მისი ფინანსური დირექტორი იყო. ქადაგიშვილი უარყოფს ინფორმაციას, რომ რაიმე ნათესაური კავშირი აქვს პრემიერ-მინისტრის მეუღლესთან ნუნუკა თამაზაშვილთან.

შორენა გოგოლაძე
599 27 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### ზალკალიანი კვიპროსელ მინისტრს შეხვდა



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, დავით ზალკალიანი კვიპროსის რესპუბლიკის კომუნიკაციებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს, ტასოს მიცოპოლუსის შეხვდა. სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა საქართველო-კვიპროსის ურთიერთობები განიხილეს.

„ორმხრივი მიმართულების განვითარების თვალსაზრისით გვაქვს უაღრესად დადებითი დინამიკა. ჩვენ ვთანამშრომლობთ საერთაშორისო ორგანიზაციებში, ვითარდება ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობები. ვიზიტის დროს მინისტრს ჰქონდა შესაძლებლობა, შეხვედროდა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს გურამ ოდიშარიასა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურ დირექტორ მერაბ ბოჭოიძეს. იგეგმება გარკვეული პროექტები ამ მიმართულებით.

ჩვენ მივიღეთ რწმუნება იმასთან დაკავშირებით, რომ კვიპროსი კვლავაც გააგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას ევროკავშირის ინტეგრაციის პროცესში სხვა ევროპულ ქვეყნებთან ერთად“, – განაცხადა ზალკალიანმა. (ინტერპრესნიუსი)

### სახალხო დამცველი მაღაროელებს შეხვდება




სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი 6 და 7 თებერვალს ჭიათურისა და ტყიბულის მაღაროებში დასაქმებულებთან შეხვედრებს გამართავს. სახალხო დამცველის აპარატის ცნობით, შეხვედრაზე უჩა ნანუაშვილი გაეცნობა შრომითი უსაფრთხოების დაცულობის თვალსაზრისით მაღაროებში არსებულ ვითარებას.

„მოგვიანებით კი სახალხო დამცველი შეხვედრას გამართავს ქუთაისში ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან. ის ასევე მოინახულებს ქუთაისში მიუსაფართათვის გახსნილ დროებით თავშესაფარს და იქ არსებულ მდგომარეობას გაეცნობა“, – აცხადებენ სახალხო დამცველის აპარატში. (ინტერპრესნიუსი)

### ახალაიას საქმეზე გადაწყვეტილება 14 თებერვალს გამოცხადდება




ე.წ. ციხის ბუნტის საქმეზე ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ პროკურატურის საჩივარზე სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებას 14 თებერვალს, 17:00 საათზე გამოაცხადებს. ბაჩო ახალაიას ადვოკატების თქმით, არ არსებობს საჩივარში მტკიცებულება, რომლის მიხედვითაც უნდა დაკმაყოფილდეს პროკურატურის საჩივარი, იმ ნაწილში, სადაც ახალაია საქალაქო სასამართლომ გაამართლა, კერძოდ აღნიშნული ნაწილი ეხება ეგრეთწოდებული კრიმინალური ავტორიტეტის პლატონ მამარდაშვილის ციხიდან უკანონო გაყვანას, ციხის ბუნტის საქმეზე ახალაია საქალაქო სასამართლომ მხოლოდ ამ ნაწილში გაამართლა, დანარჩენ ნაწილებში კი ის დამნაშავედ ცნო და სამი წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. თუმცა, მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტობის ბოლო დღეებში ახალაია 3 ნოემბერს შეიწყალა. პროკურატურამ კი სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ის ნაწილი, სადაც ახალაია გამართლდა. (ინტერპრესნიუსი)

## ფანჯიკიძე ევროსაბჭოს გენმდივანს შეხვდება



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს, ტორბიორნ იაგლანდს შეხვდება. გაიმართება საქართველოსთვის ევროპის საბჭოს სამოქმედო გეგმის ოფიციალური პრეზენტაცია.

სამოქმედო გეგმა ევროპის საბჭოს მიერ 2013-2015 წლებში საქართველოში განსახორციელებელ პროექტებს მოიცავს, რომელთა მიზანია, საქართველოს ხელისუფლებასთან თანამშრომლობა ადამიანის უფლებების დაცვის, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის განმტკიცების მიმართულებებით.

სამოქმედო გეგმა მიღებულ იქნა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2013 წლის ოქტომბერში საქართველოს ხელისუფლებასა და ევროპის საბჭოს შორის კონსულტაციების შედეგად.

გეგმის ჩართულობის სფეროებია: ადამიანის უფლებათა დაცვა და ხელშეწყობა; მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა და ეფექტიანობა; პენიტენციური სისტემა და პოლიციის რეფორმა; მედიის, გამოხატვისა და შეკრების თავისუფლება; თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები; კარგი მმართველობა; ადგილობრივი დემოკრატია; შემწყნარებლობა და ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა; ნდობის აღდგენის მექანიზმები.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ პროექტებს განახორციელებს ევროპის საბჭო ადგილობრივ პარტნიორებთან ერთად, კერძოდ, სამინისტროებთან, სახალხო დამცველის ოფისთან, პარლამენტთან, სასამართლო ხელისუფლებასთან, შესაბამის პროფესიულ ორგანიზაციებთან და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად.

გეგმით გათვალისწინებული ზოგიერთი პროექტი ხორციელდება ევროკავშირთან ერთობლივი პროგრამის ფარგლებში. (ინტერპრესნიუსი)



# კეზერაშვილის ექსტრადიციისთვის საფრანგეთში გაყალბებული მასალები გადაიგზავნა?



**უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე კეზერაშვილის ციხიდან განთავისუფლებას „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე ეხმაურება:**

„მთელი ამ ხნის განმავლობაში ფრანგული სასამართლო ბრალდების გარემოებებს სწავლობდა. მასალები კი, რომელსაც ფრანგული მართლმსაჯულება გაეცნო, თარგმნილი და გაგზავნილია საქართველოს მთავარი პროკურატურის საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტიდან, რომელსაც ბატონი ირაკლი ჩილინგარაშვილი ხელმძღვანელობს. ეს ის ადამიანია, რომელიც უშუალოდ ადეიშვილის კადრია და რომლის მიმართაც მე პირადად არაერთი პრეტენზია მქონდა პარლამენტის წევრობის დროს, მათ შორის მალხაზ გულაშვილის არასრულწლოვანი შვილის რუსეთიდან ექსტრადირებასთან დაკავშირებით. ჩილინგარაშვილი, როგორც საერთაშორისო სამართლის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პირდაპირ პასუხისმგებელია იმ ინფორმაციის ნამდვილობაზე, რომელსაც მთავარი პროკურატურა აწვდის დაინტერესებულ მხარეს. არ გამოვრიცხავ, რომ ეს მიზანმიმართული ქმედება იყოს. ამიტომ მოვუწოდებ მთავარ პროკურორსა და პრემიერ-მინისტრს, გადაამოწმონ ის თარგმანი, რომელიც ფრანგულ მხარეს წარედგინა, რამდენად შეესაბამება თარგმნილი დოკუმენტაცია ქართულ დედანს. ამასთანავე, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საფრანგეთში მივლინებული იყო პროკურორი ირაკლი დონდოლაძე, რომელმაც უშუალოდ ჩაიტანა ეს მასალები. საინტერესოა, შეძლებს თუ არა მთავარი პროკურორი გადაამოწმოს ეს ინფორმაცია და დარწმუნდეს იმაში, რომ აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის საკითხში არ არის მიზანმიმართული მოქმედება განხორციელებული“. – წერს ლორთქიფანიძე.

**დეტალებში გასარკვევად „ალია“ დიმა ლორთქიფანიძეს დაუკავშირდა:**

– სისხლის სამართლის მასალები, რომელიც უნდა გადაგზავნილიყო საფრანგეთში, ვინაიდან „წითელი ცირკულარით“ ძებნილი კეზერაშვილი უნდა დაკავებულიყო საფრანგეთში, საქართველოში აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამო, უნდა ყოფილიყო თარგმნილი სათანადო წესით. ეს უნდა განეხორციელებინა პროკურატურის საერთაშორისო სამართლებრივ დეპარტამენტს, რომელშიც შედის ასევე იურიდიული სამმართველო. სწორედ ამ დეპარტამენტს ხელმძღვანელობს ირაკლი ჩილინგარაშვილი. ეს ადამიანი არის პასუხისმგებელი პირი, რომ მომთხოვნ მხარეს გაეგზავნოს ობიექტურად თარგმნილი მასალები. დონდოლაძე აკეთებდა კეზერაშვილთან დაკავშირებულ განცხადებებს პროკურატურიდან და მივიღე ინფორმაცია, რომ ეს დონდოლაძე იყო პროკურორი, რომელიც კეზერაშვილის საქმეზე იმყოფებოდა საფრანგეთში.

**— თქვენ არ იცით, რომ ეს დონდოლაძე და ჩილინგარაშვილი მეგობრები და ახლობლები არიან, თანაც ერთად მოვიდნენ სტაჟირებით პროკურატურაში ადეიშვილის დროს და დღემდე ამ „პოსტს“ ამაგრებენ?**

– ეს ახლახან გახდა ჩემთვის ცნობილი, რომ ორივე ადეიშვილის კადრია და განსაკუთრებით, ჩილინგარაშვილზე ვაკეთებ აქცენტს, რადგან მე მას ვიცნობ პირადად. როცა მე მივმართე თხოვნით გულაშვილის ვაჟის საქმესთან დაკავშირებით, მან არაფერი არ გააკეთა. არანაირი სამართლებრივი დახმარება მას არ აღმოუჩენია. აქ ერთი მომენტიცაა, რამდენადაც სარწმუნო წყარომ მომაწოდა ინფორმაცია, კბილაშვილს მისი სამსახურიდან გაშვება ნდომებია თავის დროზე, რადგან ეს ერთ-ერთი ყველაზე საკვანძო დეპარტამენტია, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო მან ეს არ გააკეთა. სავარაუდოდ, დაუდევრობის გამო.

ჩილინგარაშვილის სამსახურში გაჩერება ნიშნავს იმას, რომ ადეიშვილის თვალი, ყური და საცეცები პროკურატურაში რჩება. რეალურად, ლოგიკურია ყველაფერი, რაც ხდება. ხომ ნახეთ, რომ დონდოლაძის წაღებულმა საქმეებმა გამოიწვია ის, რომ კეზერაშვილი თავისუფალია. მოვუწოდებ მთავარ პროკურორს, შეისწავლოს ეს საქმე და თუ აღმოჩნდა, რომ კვალიფიციური თარგმანი არ იყო შესრულებული, მიიღოს შესაბამისი ზომები. საქმის საგამოძიებო მასალები სრულყოფილი იყო და თუ ჩაიტანა, რატომ ვერ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილება მიღებული.

**— ბიძინა ივანიშვილმა კიდევ ერთხელ თქვა პრესკონფერენციაზე, რომ სთხოვდნენ სხვადასხვა ქვეყნებს, კეზერაშვილის „წითელ ცირკულარში“ ჩასმას და ამას არ აკეთებდნენ. ამაშიც პროკურატურის ფარული ხელი ურევია?**

– სამწუხაროა, რომ ამ საკითხს არ მოჰყოლია განხილვა ხელისუფლებაში. ამას არც დიდი სამართლებრივი ანალიზი სჭირდება და არც პოლიტიკური გამჭრიახობა, ჩილინგარაშვილი ადეიშვილის ნდობით აღჭურვილი პირია და ყველა ადამიანი, ვინც მასთან ურთიერთობს, იმართება ადეიშვილის მიერ, ამიტომაცაა ადეიშვილი ხელშეუხებელი. იმის მაგივრად, რომ კაცი პირსისხლიანი რეჟიმის შემოქმედად იქნას მიჩნეული, მას, უბრალოდ, კარგ მენეჯერად მიიჩნევენ.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სასჯელაღსრულების 8 თანამშრომელი დასაჯეს



სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგების საფუძველზე, დისციპლინური დარღვევის გამო სასჯელაღსრულების სხვადასხვა დაწესებულებიდან 8 თანამშრომელი დისციპლინური წესით დაისაჯა.

უწყების ცნობით, სისტემიდან დაითხოვეს 2 თანამშრომელი; 3 თანამშრომელს სასტიკი საყვედური გამოეცხადა, ხოლო 3-ს – საყვედური.

„სასჯელაღსრულების სისტემის 8 თანამშრომლის პასუხისმგებლობა სხვადასხვა ტიპის დისციპლინურმა დარღვევებმა გამოიწვია. აღნიშნული პირების ქმედებებით სხვადასხვა შემთხვევაში დაირღვა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი და პრეზიდენტის №832-ე ბრძანება „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოებში სახელმწიფო სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“, ასევე, უგულებელყოფილ იქნა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების სისტემის ორგანოების მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები“, – აცხადებენ სამინისტროში. (ინტერპრესნიუსი)

## პარლამენტმა თვითმმართველობის კოდექსი დაამტკიცა



პარლამენტმა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსზე მუშაობა დაასრულა. კოდექსის პროექტი და მისგან გამომდინარე, დაახლოებით 25 საკანონმდებლო ცვლილების პროექტი დეპუტატებმა მესამე მოსმენით 77 ხმით, 7-ის წინააღმდეგ მიიღეს. პროექტის მიხედვით, თვითმმართველობის რეფორმის ფარგლებში დაგეგმილია თვითმმართველი ქალაქების რაოდენობის გაზრდა. რეფორმის პირველ ეტაპზე გათვალისწინებულია არსებული ხუთი თვითმმართველი ქალაქისთვის შვიდი თვითმმართველი ქალაქის დამატება და მათი რაოდენობის 12-მდე გაზრდა, სადაც მერები პირდაპირი წესით აირჩევიან. პირდაპირი წესით აირჩევიან მუნიციპალიტეტების გამგებლებიც. ამ შემთხვევაში კოდექსის პროექტით შეთავაზებული წესი, რომელიც ითვალისწინებდა თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭებას ყველა იმ ქალაქისთვის, რომელთა რაოდენობა 15 000 მოსახლეს აღემატება, შეიცვალა შემდეგნაირად – პირველ ეტაპზე, არსებულ ხუთ თვითმმართველ ქალაქთან ერთად, თვითმმართველ ქალაქად ის შვიდი ქალაქი განისაზღვრა, სადაც გუბერნატორების ადმინისტრაციებია განთავსებული.

მთავრობა და პარლამენტი შეთანხმდა, რომ საკრებულოს მიერ პირდაპირი წესით არჩეული მერისა თუ გამგებლისთვის უნდობლობის გამოცხადებისას, საკრებულოს შესაბამისი გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში, უნდობლობაგამოცხადებულ გამგებელსა და მერს სასამართლო განხილვის დასრულებამდე უფლებამოსილება არ შეუწყდება და ხელახალი არჩევნები არ დაინიშნება.

მთლიანად შეიცვალა კოდექსის ის ნაწილი, რომელიც რეგიონების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ჩამოყალიბებასა და მუნიციპალიტეტთა რეგიონული გაერთიანებების შექმნას ითვალისწინებდა. კერძოდ, მთავრობის მიერ შეთავაზებულ ვარიანტში გათვალისწინებული იყო მუნიციპალიტეტთა რეგიონული გაერთიანების შექმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით, რომელიც გუბერნატორის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებს აერთიანებდა. პარლამენტში გამოთქმული შენიშვნის გათვალისწინებით, აღნიშნული გაერთიანების ნაცვლად, სამხარეო საკონსულტაციო საბჭო ჩამოყალიბდება, რომელიც გუბერნატორის საკონსულტაციო ორგანო იქნება. მასში თანამდებობრივად შევლენ გუბერნატორის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტების მერები, გამგებლები, საკრებულოების თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები. საბჭოს ექნება საკონსულტაციო, სარეკომენდაციო ხასიათი და არ ექნება უფლება, მთავრობის დონეზე სადავო გახადოს გუბერნატორის გადაწყვეტილება. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# რას მოიგებს საქართველო ღარიბაშვილის ევროპაში ვიზიტით?

რეჟიმების ლიდერებს, რამაც შეიძლება, გამოუსწორებელი დარტყმა მიაყენოს ჩვენს სუვერენიტეტს, ხოლო საქართველო მაინც აგზავნის ოფიციალურ დელეგაციას და ასეთი დამცირების მიუხედავად, არ დგამს სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტის ლოგიკურ ნაბიჯს. არ უნდა გაგვიკვირდეს ისიც, რომ სოჭში არჩასვლის მიზეზებს შორის ლიდერები საქართველოს ოკუპაციის საკითხს აღარ ასახელებენ. ესეც თქვენს სინდისზეა! ერთი სიტყვით, საქართველო თანდათან ქვეითდება და ქრება დასავლეთ-რუსეთის ორმხრივი პოლიტიკური დღის წესრიგიდან“.

როგორც ქვეყანა, რომელმაც მოახერხა, ყველაზე სწრაფად დაესრულებინა მოლაპარაკებებიო.

როცა „ნაცბანდა“ საუბრობს, რომ საქართველოს პრემიერს სერიოზული პრესა არ ჰქონდა და 10 წამის შემდეგ, ინტერვიუებს წყვეტენო, ესაა სირცხვილი, „ნაცებო“, ისეთ თემებში მაინც მოიტყუეთ სადაც ფაქტები არ არსებობს. ღარიბაშვილმა ინტერვიუ უამრავ გამოცემას მისცა.

საინტერესოა, რას დაუპირისპირებენ „ნაციონალები“ ნატოს გენერალური მდივნის შეფასებას, ქართულმა მხარემ კიდევ ერთხელ დაადასტურა მზადყოფნა, მონაწილეობა მიიღოს 2014 წლის შემდგომ ავღანეთში ნატოს საწვრთნელ მისიაში, რუსეთთან მიმართებაში კი კატეგორიულად განაცხადა, როგორ მოიქცევა ალიანსი ღია კარის პოლიტიკის გატარებისას, მესამე მხარის გადასაწყვეტი არ არისო.

„ნაცებო“, რატომ არ საუბრობთ, ვიზიტის წარმატებულ ნაწილზე? გერმანიამ იკისრა შუამავლობა და საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკ ვალტერ შტაინმაიერი ვიზიტით საქართველოში ჩამოვა, ეს ვიზიტი კი ძალიან ბევრის გადამწყვეტია, რადგან ერთადერთი ქვეყანა, ვისაც რუსეთი და პუტინი ანგარიშს უწევს, ეს არის გერმანია. არც ინგლისი, არც საფრანგეთი, არც შტატები...

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ალიასთან“ აცხადებს: „შტაინმაიერი საქართველოს პრობლემას კარგად იცნობს, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტს, და მას სუფთა ფურცლიდან არ მოუწევს პრობლემების შესწავლა. ის ჩამოვა ფრანგ კოლეგასთან ლორან ფაბიუსთან ერთად. საფრანგეთი, გერმანიის შემდეგ ის ქვეყანაა, რომელიც ჩვენს გაწევრიანებას ევროსტრუქტურებში ეჭვის თვალით უყურებს... ახლა მთავარია, იკისრებს თუ არა გერმანია შუამავლობას და ასევე, მთავრია, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ხელისუფლება არ „წაუწვეს“, როგორც მოხდა ივანიშვილის გაპრემიერებიდან ორ-სამ თვეში. ივანიშვილს სხვა გეგმა ჰქონდა, როცა ის ამბობდა, რომ რუსეთთან ურთიერთობას დავარეგულირებო, შემდეგ ეს გეგმა სწრაფად შეიცვალა“. – აცხადებს ცინცაძე და გვიხსნის, რა გეგმით აპირებდა ივანიშვილი სვლას. მისი გეგმა იყო რუსეთთან მოლაპარაკება, რაც აუცილებელია. დიპლომატიის ანბანია, ყველა გაბოროტებული „ნაციონალები“ ყველაზე ცუდ სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენდნენ, რომ პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ამ დონის ევროპულ ტურნეს გამართავდა და დიდ საერთაშორისო მხარდაჭერასაც მიიღებდა. კი ბატონო, აკრიტიკე, მაგრამ, როცა უტიფრად იტყუები და მოსახლეობა შეცდომაში შეგყავს, ეს უკვე მხოლოდ ბოროტება კი არა, დანაშაულია. დანაშაულია, როცა სახელმწიფო ინტერესებს ფეხქვეშ თელავთ და გვაიძულებთ, თქვენს „ხუშტურებზე“ ვიაროთ, დანაშაულია, როცა „რუსთავი 2“-ით გადის პრემიერის დამახინჯებული თარგმანი („ბი-ბი-სი“-სთან ინტერვიუში ღარიბაშვილმა განაცხადა: „რეალობა ის არის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი ქვეყანა - საქართველო არსებობს, ოკუპირებული რეგიონები ჩვენი ტერიტორიაა და ჩვენია ეს მიწა, ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან ერთად“. თარგმანში კი ითქვა „ეს მიწები აფხაზებისა და ოსებისაა“), საერთოდაც დანაშაულია თქვენი, როგორც პოლიტიკური პარტიის არსებობა.

„ნაციონალების“ ოთხმა ლობისტურმა კომპანიამ ვერ შეძლო პრემიერის ევროპული ტურნეს დაკნინება და წვრილმან მავნებლობას მიმართა. ნაპრეზიდენტალი სააკაშვილის მიუნხენის უსაფრთხოების 50-ე კონფერენციაზე ჩასვლა სეირის მაყურებლის როლში, კრახით დასრულდა. ვერ მოგართვით, არ ხარ შეუცვლელი და ერთადერთი, მიხეილ. რუსეთთან საომარი რიტორიკის მოლოდინში, „ნაცებს“ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, აღმოჩნდა, რომ დაბალანსებულადაც შეიძლება მსოფლიოს გააგებინო, რა გინდა, რომ საქართველოსთვის ევროპული გზა გადამრჩენია. უმცირესობის წევრი გიორგი კანდელაკი მიწას მოფხოჭნის და აცხადებს: „ღარიბაშვილის ასეთი კატასტროფული გამოსვლის შემდეგ, როდესაც ხელაღებით ნიავდება საქართველოს სუვერენიტეტი, არ უნდა გაგვიკვირდეს, როცა კლიჩკოს გამოსვლის შემდეგ დარბაზი ტაშით დაინგრა, ხოლო ღარიბაშვილის გამოსვლის მერე გავიგეთ მხოლოდ სლუცკის მადლობა და ყრუ დუმილი; არ უნდა გაგვიკვირდეს ისიც, რომ რუსეთი სოჭში იწვევს მარიონეტული

ახლა ვნახოთ, რამ გაამწარა „ნაციონალების“ სკუნსები (სკუნსი – ესაა ცხოველი, რომელიც საფრთხის მოახლოების დროს მომწამლავ გაზებს უშვებს მტრის დასაფრთხობად. – ნ.ს.), რატომ იტყუებიან და რატომ მავნებლობენ. რას მიაღწია ღარიბაშვილმა ევროპული ტურნეს დროს.

საქართველოს აქვს ამბიცია, გახდეს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი. გადაწყდა, რომ აგვისტოში ხელი მოეწერება ასოცირების ხელშეკრულებას, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის გადაწყვეტილებას ადასტურებს როგორც ევროკომისიის პრეზიდენტი ჟოზე მანუელ ბაროზო, ასევე ევროპის საბჭოს პრეზიდენტმა ჰერმან ვან რომპეი. ისინი აცხადებენ, რომ არ არსებობს ისეთი დაბრკოლება, რომელიც ამ პროცესს შეაფერხებს, საქართველოს მიმართ ინტერესი გაძლიერებულია და ევროკავშირისგან სრული მხარდაჭერა გვაქვს. ბაროზომ ღარიბაშვილთან შეხვედრისას იხუმრა, საქართველო შესაძლოა, გინესის წიგნიც აღმოჩნდეს, კვერცხი ერთი კალათით არ უნდა ატარო. რამდენიმე თვე დარჩა შოტლანდიის სამიტამდე, იქ იქნება გერმანიისა და საფრანგეთის პოზიცია გადამწყვეტი მაპ-თან დაკავშირებით. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით ჩამოდიან საფრანგეთისა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრები. ჩვენმა დიპლომატიამ შეუძლებელი უნდა შეძლოს, მართალია მაპ-ი არ არის შესასვლელი ბილეთი ნატოში, თქვენ იცით 10-12 წელი ყურყუტებენ ნატოს მისაღებში, მაშინ, როცა ევროპაში ყელამდეა პრობლემები, ამ დროს ჩვენთვის იცლიან და ჩამოდიან საქართველოში, ეს უკვე წარმატებულ ნაბიჯს ნიშნავს. ახლა მაინც ჩვენმა ხელისუფლებამ მტკიცე პოზიცია უნდა დაიკავოს „ნაციონალურ“ პროპაგანდასთან, რომელიც დემაგოგიაში გადადის. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება რუსეთთან აგრესიული რიტორიკა, მალე „ნაცები“ იმასაც აგვიკრძალავენ, რომ ვთქვათ, რუსეთი ჩვენი მეზობელია“.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ირაკლი ღარიბაშვილის „მეგობრული რჩევა“

წინამორბედის კვალდაკვალ ტელეკომპანია „მაესტრო“ ამჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმაც გააკრიტიკა. ის „მეგობრულად ურჩევს“, ზოგადად, ტელეკომპანიებს, „ნუ აგრძელებენ „ნაციონალური მოძრაობის“ პროპაგანდის ტირაჟირებას“.

ასე უპასუხა ღარიბაშვილმა „მაესტროსთვის“ მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში ჟურნალისტის კითხვას, რომელიც სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით რუსეთიდან მომდინარე საფრთხეების შესახებ ევროპელი ლიდერების საქმის კურსში სათანადოდ არჩაყენებას შეეხებოდა.

„იძულებული ვარ, შეგაწყვეტინოთ, რადგან თქვენ არ იცით, რა საუბრები მქონდა ევროპელ ლიდერებთან, გნებავთ, დახურულ კარს მიღმა და გნებავთ, ღიად... თქვენ – „მაესტრო“, რომელიც იყავით და იმედი მაქვს, ახლაც ხართ სიტყვის თავისუფლების დამცველები, მით უმეტეს არ უნდა იმეორებდეთ „ნაციონალური მოძრაობის“ მოსაზრებებსა და ფრაზებს... მე არ ვაპირებ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ კრიტიკას პასუხი გავცე... თუ იმისთვის მომიწვიეთ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ კრიტიკას ვუპასუხო, მე მგონი, არასწორად შეარჩიეთ... მე მინდა, გისაყვედუროთ, თუმცა არ მინდა, რომ მიიღოთ ეს, როგორც ჩემგან კრიტიკა პირდაპირი მნიშვნელობით – ეს თქვენ არ გეკუთვნით და ეს ჩემთვის გასაგებია, მაგრამ მინდა, ერთი რამ ძალიან კარგად განგიმარტოთ: არ ვაპირებ, „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან გამოთქმულ კრიტიკას, რაღაც გაუგებარ, აბსურდულ აზრებს ვუპასუხო და ზოგადად, მოგიწოდებთ, ტელევიზიებმა დაასრულოთ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარმოებული პროპაგანდის ტირაჟირება – ეს, პირველ რიგში, თქვენ დაგაზიანებთ და თქვენ უბრალოდ დაკარგავთ მაყურებელს, იმიტომ, რომ საზოგადოებას დღეს სჭირდება სიმართლე, ხოლო თქვენ თუ ხართ მოწადინებული, რომ საზოგადოებას სიმართლე უთხრათ, მაშინ არ უნდა იმეოროთ 24 საათი „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გამოთქმული კრიტიკა, – ეს არის ჩემი, ასე ვთქვათ, მეგობრული რჩევა“. – მიმართა ჟურნალისტს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნატოს ჩვენი რეფორმები მოსწონებია

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, საქართველო არ ზოგავს ძალებს, რომ განაგრძოს რეფორმების განხორციელება, რომელიც ჩვენს ქვეყანას ნატოსთან უფრო ახლოს მიიყვანს.

მისი შეფასებით, საქართველოში გატარებული რეფორმები ალიანსის მიერ დადებითად შეფასდა. „ჩვენ გვქონდა ძალიან კარგი განხილვა ნატო-საქართველოს ურთიერთობებისა. საქართველომ განიცადა ძალიან მნიშვნელოვანი დემოკრატიული ტრანსფორმაცია. გასული საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები იყო მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიის გაძლიერების თვალსაზრისით. საქართველოს მთავრობას ესმის, რომ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო და განაგრძობს მუშაობას, რეფორმებს იმისთვის, რომ უზრუნველყოს ადამიანის უფლებების უკეთესი დაცვა, კანონის უზენაესობის გაძლიერება და ეკონომიკური განვითარება. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა თავდაცვის სისტემის რეფორმირების კუთხით“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერის თქმით, საქართველოსთვის ალიანსში ინტეგრაცია კვლავაც ერთ-ერთ მთავარ მიზნად რჩება. „საქართველოს ევროატლანტიკურ არჩევანს მხარს უჭერს ქვეყნის მოსახლეობისა და პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა“. – დასძინა პრემიერ-მინისტრმა. (ინტერპრესნიუსი)

## თიბილოვი სოჭში „თავისით“ მიდისო



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის, დავით ზალკალიანის განცხადებით, შეიძლება თიბილოვი, როგორც მოქალაქე, სოჭში მიემგზავრება, მაგრამ ის ოფიციალური სტუმრების სიაში არ არის.

„მას შემდეგ, რაც გავრცელდა ეს ინფორმაცია რამდენიმე მედიასაშუალების მიერ, ჩვენ მყისიერად დავიწყეთ მისი გადამოწმება. პირველ რიგში, დავუკავშირდით საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, გამოვხატეთ ჩვენი წუხილი და ვთხოვეთ მისი გადამოწმება. გარდა ამისა, ჩვენ შვეიცარიის ინტერესთა სექციის დახმარებით შევეცადეთ, რუსეთის ხელისუფლებისგანაც მიგვეღო ოფიციალური პასუხი, რამდენად შეესაბამებოდა ეს ინფორმაცია სინამდვილეს. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლებმა დაგვარწმუნეს, რომ არანაირი ოფიციალური მიწვევა არ არსებობს. ისინი პირადად აკონტროლებენ ოლიმპიადაზე მიწვეული სახელმწიფოს მეთაურების სიას და არც ცხინვალის და არც აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიების წარმომადგენლები ოფიციალურად მიწვეულ სტუმართა სიაში არ არიან. გარდა ამისა, იგივე ინფორმაცია იყო გადამოწმებული მოსკოვში და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომაც არ დაადასტურა ეს ინფორმაცია. შეიძლება თიბილოვი, როგორც მოქალაქე, პირადად მიემგზავრება სოჭში, მაგრამ ოფიციალური სტუმრების სიაში არ არის. იცით, რომ სახელმწიფოს მეთაურებისთვის გათვალისწინებულია სპეციალური სკამები. ოლიმპიური კომიტეტი ამას დიდ ყურადღებას აქცევს და მათ ჩვენ მოგვცეს გარანტია, რომ არანაირი ოფიციალური მიწვევა არ ყოფილა“, – განაცხადა ზალკალიანმა.

საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის თქმით, თუკი გარანტია დაირღვევა და ოფიციალურ ღონისძიებებში ოკუპირებული ტერიტორიების წარმომადგენლების მონაწილეობა დაფიქსირდება, ადეკვატურ გადაწყვეტილებას მიიღებენ.

„ასეთ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ ადეკვატურ გადაწყვეტილებას, რომელიც იქნება ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე“, – აღნიშნა მან. გულისხმობს თუ არა ეს ოლიმპიადის შესაძლო დატოვებას? „ყველაფერს, ყველანაირ ქმედებას გულისხმობს“. – დასძინა ზალკალიანმა. (ინტერპრესნიუსი)

## ვითომ მართლა ჩვენი სპორტსმენები ადარდებს?



საპარლამენტო ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი გოგა ხაჩიძე პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს შეკითხვით მიმართავს და აინტერესებს, ვინ იღებს პასუხისმგებლობას სოჭში ქართველი ოლიმპიელების უსაფრთხოებაზე.

„მინდა დავაკვირდეთ უმრავლესობის წევრების გამოსვლებს, არც ერთი გამოსვლა არაა მიმართული დღევანდელი სიტუაციის გაუმჯობესებისა და იმისკენ, მომავალში რას ვაკეთებთ. მრჩება შთაბეჭდილება, რომ რაღაც მომენტში ყველანი ერთად მოაწყო ვიღაცამ და მისცა ბრძანება „ზურგისაკენ". ერთი „ზურგისაკენ" კიდევ სჭირდება მათ, რომ მომავლისკენაც გავიხედოთ და მხოლოდ წარსულის გარჩევებით არ ვიყოთ დაკავებული. მინდა მომავალთან დაკავშირებულ ერთ საკითხს შევეხო, რომელიც კონკრეტულად სოჭის ოლიმპიადას ეხება. დღეს პრემიერ-მინისტრმა გაავრცელა წერილი, სადაც ამბობს, რომ სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობა ჩვენში განსაკუთრებულ ემოციებს აღძრავს. ვეთანხმები, არ ვიცი, რამდენად ერთნაირს, მაგრამ ჩემშიც განსაკუთრებულ ემოციებს აღძრავს. ჩვენ ბევრი ვიდებატეთ იმაზე, უნდა წავიდეთ თუ არა, მივიღოთ მონაწილეობა თუ არა. გადავდოთ გვერდზე ეს საკითხი, დავანებოთ თავი, ერთადერთი მნიშვნელოვანი თემა დავტოვოთ – ვინმემ იცის პასუხი კითხვაზე, ვინ აგებს პასუხს, რა მექანიზმებით ვიღებთ პასუხისმგებლობას ჩვენი სპორტსმენებისა და დელეგაციის უსაფრთხოებაზე? ვის იმედად ვუშვებთ ჩვენს სპორტსმენებს ოლიმპიადაზე? რაიმე არაორდინალური რომ მოხდეს, ვინ აგებს პასუხს? მივმართავ ქვეყნის პირველ პირს, ირაკლი ღარიბაშვილს, ვის იმედად გავაგზავნეთ ჩვენი სპორტსმენები? – რუსეთის იმედად, თუ ვის იმედად?" – აღნიშნა ხაჩიძემ. (ინტერპრესნიუსი)

# ვისი კორუფციული ინტერესებია „ხუდონჰესის" პროექტის უკან?



„გრინფისის მხარდამჭერთა ჯგუფის" თავმჯდომარე ლაშა ჩხარტიშვილი უკვე მერამდენედ, „ხუდონჰესის" მშენებლობასთან დაკავშირებით, მთავრობის წარმომადგენლების კორუფციულ ინტერესებზე საუბრობს.

„აღნიშნულის უკან იმალება კორუფციული ინტერესები მთელი რიგი სახელისუფლებო კლანების, ძველი თუ ახალი ხელისუფლების. „ქართულმა ოცნებამ" დადო საარჩევნო დაპირება, რომელიც ჟღერდა ასე: „საქართველოში უნდა მოხდეს დიდი კაშხლებისა და ატომური სადგურების მშენებლობის აკრძალვა", რაც ჯერჯერობით არ შეასრულა. ზაქარია ქუცნაშვილის მამის ჩართულობა ენერგეტიკული პროექტების უმრავლესობაში, ვფიქრობ, უნდა იყოს საფუძველი პროკურატურის მხრიდან გამოძიების დაწყების. ჩვენ ამ შინაარსის განცხადებით მივმართეთ პროკურატურას ზეპირი სახით, დაახლოებით ერთი თვის წინ, მაგრამ, ჩვენი ინფორმაციით, არანაირი გამოძიება დაწყებული არ არის, ისევე, როგორც კახი კალაძის კორუფციული ინტერესები, სავარაუდოდ, მაღალი ალბათობით ამ პროექტებში არის. თავად, კახი კალაძე მინისტრად დანიშვნის პერიოდშიც ფლობდა აქტივებს ენერგეტიკულ სექტორში, რაც მიუღებელია თავისთავად და ინტერესთა კონფლიქტს წარმოადგეს, შინაარსობრივად მაინც". – აცხადებს ჩხარტიშვილი.

**კომენტარისთვის „ალია" ლაშა ჩხარტიშვილს დაუკავშირდა:**

**— ლაშა, ამდენი ხანია იბრძვით. ადრე გირჩიეთ, რომ საქმეში „გრინფისის" ცენტრალური ოფისი ჩაგერთოთ, რადგან ხელისუფლება უცხოურ ორგანიზაციებს უფრო უწევს ანგარიშს, ვიდრე თავის მოქალაქეებს. რა ქენით, მიმართეთ „გრინფისს"?**

– მთელი სვანეთის მოსახლეობა წინააღმდეგია „ხუდონჰესის" მშენებლობის და მგონი, ეს პატარა ძალა არაა. რაც შეეხება „გრინფისს", ის არის ყველაზე აქტიური და ინფორმირებული ამ პრობლემის შესახებ. მიუხედავად სამარცხვინო აგიტაციისა, მაინც არის გარკვეული შედეგი. აქ იკვეთება კახა კალაძისა და ზაქრო ქუცნაშვილის კომერციული ინტერესები. ეს ადამიანები აშკარად საკუთარი კორუფციული ინტერესების ლობირებით არიან დაკავებულნი. პირველ რიგში, „ქართული ოცნება" არის დამრღვევი თავისი წინასაარჩევნო დაპირებისა, ამიტომ შეხსენებაში, რომ ეს დაპირებები შევახსენოთ მას, გვაქვს გარკვეული წარმატება. ეს არის სვანეთის დამსახურება და ჩვენი.

**— უკვე მერამდენედ ახსენებთ ქუცნაშვილისა და კალაძის კორუფციულ ინტერესებს, თუმცა მე პირადად ამ საკითხზე მათი კომენტარები არ მახსენდება. პირადად ხომ არ შემოგითვალეს რამე, თუნდაც გაფრთხილება, რომ სასამართლოში გიჩივლებდნენ?**

– ძირითადად, თავის მართლების რეჟიმზე არიან გადასულები. ჰქონდათ მცდელობა, მაგრამ მიიღეს პასუხი, რადგან ჩემი ქვეყნის დატბორვას არავის დავუთმობ. წარსულში არავის არაფერი სათქმელი არ აქვს ჩემზე მადლობის გარდა. მე ყოველთვის ვიყავი დაჩაგრულის მხარეს. როცა ქუცნაშვილის მამა პატიმარი იყო, მას აქტიურად ვუჭერდი მხარს, მაგრამ ახლა ყველა იმის მონაწილე თუ გახდა, რაც დაპირების არშესრულებას ნიშნავს, მაშინ... ყოველგვარ წარსულ ურთიერთობებზე მაღლა დგას ჩემთვის სამშობლო. ტყუილად იმართლებენ თავს, საარჩევნო დაპირება დარღვეულია და როცა ასე ხდება, იგივე ზაქარიას მამამ, როგორც დაქირავებულმა ექსპერტმა, ცოტა თავი მაინც უნდა შეიკავოს. პროკურატურასაც მოვუწოდე, რომ გამოძიება დაიწყოს. მე მივუთითე მათ, რომ კალაძეს აღმოაჩნდა ინტერესები ენერგეტიკის სფეროში და ვთვლი, რომ გამოძიება დასაწყებია. კორუფციულ ინტერესებში როცა ადამიანს ბრალს სდებ, ეს უნდა გახდეს მოკვლევის საფუძველი. მე არც ერთი ხელისუფლებისთვის არ დამითმია, 9-ჯერ დამიჭირეს და ტვინის შერყევები მქონდა, მაგრამ მაინც არ დამითმია ქვეყნის ინტერესები, არც ახლა არ ვაპირებ „ქართული ოცნებისთვის" რამის შერჩენას. როცა ჩემი ქვეყნის ბუნებასა და მის კულტურულ მემკვიდრეობას ეხება საქმე, მე შეუვალი ვარ.

**— რატომ ხმას არ იღებენ ის ადამიანები, წლების მანძილზე ვის გვერდითაც იყავით და ახლა პარლამენტში არიან?**

– სწორედ „ხუდონჰესისა" და დიდი კაშხლების არაშენების პირობის დარღვევა გახდა მიზეზი იმისა, რომ დავტოვე კოალიცია და „კონსერვატიული პარტიაც", როგორც მისი შემადგენელი ნაწილი. ოფიციალურად მივმართე მათ განცხადებით. ეს იყო ძირითადი მიზეზი, მე პირობის დამრღვევებთან არაფერი მესაქმება. საკუთარი ხალხის მოღალატე და მატყუარა პოლიტიკოსებთან საუბრისა და ურთიერთობის სურვილი არ მაქვს.

**ჟანა ასანიძე**

558 00 16 16

## არასამთავრობოები ინტერფრაქციული ჯგუფიდან გავიდნენ



არასამთავრობო ორგანიზაციები „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო", „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" და „სამართლიანი არჩევნები" საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით ინტერფრაქციული ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობას აღარ მიიღებენ.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორის, ეკა გიგაურის შეფასებით, გამოჩნდა, რომ ჯგუფის შეხვედრები ფორმალურ ხასიათს ატარებდა, ჯგუფი არ ცდილობდა საქართველოში საარჩევნო სისტემა შეცვლილიყო.

„სამწუხაროდ, ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოში არის ტენდენცია იმისა, რომ როდესაც პოლიტიკური პარტია იმყოფება ოპოზიციაში, მან უკეთ იცის გარკვეული პრობლემების შესახებ, უკეთ იცის, რა არის საჭირო ქვეყნისთვის, მაგრამ მას შემდეგ, რაც ისინი ხვდებიან ხელისუფლებაში, არ არიან თანმიმდევრულები. ამის ძალიან კარგი მაგალითია ინტერფრაქციული ჯგუფი და ჯგუფში წარმოდგენილი მმართველი გუნდის წარმომადგენლები", – აღნიშნა გიგაურმა. მისივე თქმით, სხდომების შედეგად არასამთავრობო ორგანიზაციებმა ვერ მიაღწიეს, რომ საქართველოში ყოფილიყო საარჩევნო სისტემა.

„სამართლიანი არჩევნების" თავმჯდომარის, ნინო ლომჯარიას შეფასებით კი, ფაქტობრივად, მომავალი არჩევნები ჩატარდება იმავე სისტემით, როგორც წინა არჩევნები ტარდებოდა. სისტემა, რომელიც დღეს არსებობს, ცალსახად უპირატესობას ანიჭებს მმართველ ძალას.

მისივე თქმით, აღნიშნული სისტემა ვერ უზრუნველყოფს ამომრჩეველთა ნების პროპორციულად ასახვას მანდატებში, ამასთანავე, შესაძლებელია, გამარჯვებული გახდეს კანდიდატი, რომელსაც ამომრჩეველთა უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა. მისივე თქმით, არ არის უზრუნველყოფილი ერთი ხმის თანაბარი წონის პრინციპი. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „სააკაშვილს მთელი თავისი პარტია ფეხებზე კიდია"



საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ნუკრი ქანთარიას განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივანი გვამებს ითხოვს, თავმჯდომარეს კი მთელი პარტია ფეხებზე კიდია.

„მე მინდა გამოვეხმაურო იმ ფირს, რომლის პირობითი სათაურიც შეიძლება ასეთი იყოს – „ორი გვამი მჭირდება". 20 მაისს მოხდა ეს საშინელი უბედურება, როდესაც დახვრიტეს გია კრიალაშვილი და მისი ორი მეგობარი. მაშინ რუსთაველის გამზირზე იმართებოდა მიტინგები. დახვრეტიდან რამდენიმე დღით ადრე დატრიალდა ინფორმაცია, რომ მერაბიშვილი ამ ხალხის არა აყვანას, არამედ ლიკვიდაციას აპირებს. მე მომიწია მაშინ მიტინგზე ამის გახმოვანება, მაგრამ არ მჯეროდა, თუ ამას გაბედავდნენ და მოახდენდნენ ასეთ საშინელებას. ჩემთვის აბსოლუტურად ნათელია, რომ იყო ლიკვიდაციის ბრძანება, რომელიც კადრებშიც ჩანს. ამ ყველაფრის მერე მინდა ვკითხო „ნაციონალურ მოძრაობას", რა უბედურება გჭირთ. თქვენი გენერალური მდივანი გვამებს ითხოვს, პარტიის თავმჯდომარე კი გეუბნებათ, რომ ფეხებზე ჰკიდიხართ და არ აინტერესებთ. ამის შემდეგ რა უფლებით უნდა გველაპარაკოთ ეკონომიკაზე, უუნარობაზე და ხალხის სიკეთესა და კეთილდღეობაზე.

ან გაემიჯნეთ ამ ამბებს, ან აიღეთ ეს პასუხისმგებლობა", – აღნიშნა ქანთარიამ. (ინტერპრესნიუსი)

## ღარიბაშვილმა ქართველ ოლიმპიელებს მიმართა



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ქართველ ოლიმპიელებს მიმართა და მათ წარმატება უსურვა. მიმართვაში ნათქვამია:

„ძვირფასო ოლიმპიელებო! ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა ნებისმიერი სპორტსმენისთვის უაღრესად საპატიოა. ჩვენ ვამაყობთ, რომ ქართველი სპორტსმენები აკმაყოფილებთ ოლიმპიური თამაშების სტანდარტებს და მონაწილეობთ მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენთა უმაღლესი დონის შეჯიბრებებში.

2014 წლის სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობა ჩვენში განსაკუთრებულ ემოციებს იწვევს, რადგან ოლიმპიადა ტარდება საქართველო-რუსეთის საზღვართან, ოკუპირებულ აფხაზეთთან ახლოს. მეტად რთული იყო გადაწყვეტილების მიღება ამ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის შესახებ, მაგრამ ჩვენ გავითვალისწინეთ სხვადასხვა ფაქტორი და ეს გადაწყვეტილება ქართული სპორტისა და ჩვენი სპორტსმენების, საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების სასარგებლოდ მივიღეთ. საქართველოს მეგობრები იზიარებენ ჩვენს პოზიციას. დაუშვებელია სპორტის პოლიტიზება. სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობით საქართველო დგამს კეთილი ნების ნაბიჯს საერთაშორისო თანამეგობრობისა და ზოგადად ოლიმპიური მოძრაობის მიმართ".

ღარიბაშვილის თქმით, მთელი საქართველო ქართველი ოლიმპიელების გულშემატკივარია.

„ახლა ჯერი თქვენზეა, ჩვენს სახელოვან სპორტსმენებზე. მთელი საქართველო, ყველანი თქვენი გულშემატკივარი ვართ და განსაკუთრებული ინტერესით ვადევნებთ თვალს თქვენს წარმატებებს", – აღნიშნავს ირაკლი ღარიბაშვილი.

სოჭის ოლიმპიადაში სულ ოთხი ქართველი სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას: მოთხილამურეები ნინო წიკლაური, იასონ აბრამაშვილი, ალექსი ბენიანიძე და მოციგურავე ელენე გედევანიშვილი, რომელიც სოჭში 14 თებერვალს კანადიდან ჩავა. საქართველოს ნაკრების მედროშე ოლიმპიადის გახსნაზე ნინო წიკლაური იქნება. (ინტერპრესნიუსი)

## მერია არასამთავრობოების ინიციატივას მიესალმა




თბილისის მერია დედაქალაქის ბიუჯეტის დამტკიცების პროცესში ჩართვასა და ამ მიზნით მერიასა და საკრებულოსთან თანამშრომლობასთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციების მზადყოფნას მიესალმება.

„არასამთავრობო ორგანიზაციებმა: „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ და „სამართლებრივი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ მზადყოფნა გამოთქვეს, თბილისელების ინტერესების დაცვის მიზნით, ჩაერთონ 2014 წლის თბილისის ბიუჯეტის დამტკიცების პროცესში და ითანამშრომლონ, როგორც თბილისის მერიასთან, ასევე საკრებულოსთან. თბილისის მერია დადებითად აფასებს და მიესალმება არასამთავრობო ორგანიზაციების აღნიშნულ ინიციატივას“, – ნათქვამია მერიის განცხადებაში.

დედაქალაქის მთავრობის განმარტებით, ის მზად არის იმუშაოს ნებისმიერ დაინტერესებულ პირთან, რათა ბიუჯეტთან დაკავშირებულ ყველა კითხვას ამომწურავად და სრულყოფილად გაეცეს პასუხი. (ინტერპრესნიუსი)

## ქუთაისის მერიის პრესსამსახურს ახალი უფროსი ჰყავს

ქუთაისის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ახალი უფროსი ჰყავს. ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა შოთა მურღულიამ აღნიშნულ თანამდებობაზე ტელეკომპანია „რიონის“ ჟურნალისტი ეკა მამისეიშვილი დანიშნა.

ცნობისთვის, მამისეიშვილი 2012-2013 წლებში „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარე იყო. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ქეთი დეისაძემ თანამდებობა პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა. (ფრონტნიუსი)




# საბურთალოელებო, არ წამოეგოთ პროვოკაციას...

საბურთალოს რაიონის გამგებელი გია ხუროშვილი განცხადებას ავრცელებს: „ძვირფასო საბურთალოელებო, კიდევ ერთხელ მოგმართავთ თხოვნით, რომ განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინოთ და არ ენდოთ იმ ადამიანებს, რომლებიც გამგეობის სახელით გთავაზობენ ცალკეული სამუშაოების წარმოებას და შეთავაზებასაც პირადად ჩემი ან გამგეობის სახელით გიკეთებენ. გთხოვთ მსგავსი შემთხვევების გამოვლინების შემთხვევაში დაუყოვნებლივ დარეკოთ გამგეობაში ნომერზე – 2374219 ან მიმართოთ სამართალდამცავ ორგანოებს. დავასრულოთ იაფფასიანი პროვოკაციები და აღვკვეთოთ პროვოკატორთა დანაშაულებრივი ქმედება“, – აცხადებს ხუროშვილი.

**დეტალებზე სასაუბროდ „ალია“ საბურთალოს რაიონის გამგებელს, გია ხუროშვილს დაუკავშირდა:**

**— ბატონო გია, მსგავსი განცხადება თქვენ დაახლოებით ერთი თვის წინაც გააკეთეთ. მაშინ სადარბაზოების დამუშავებაზე იყო საუბარი ვირთხების წინააღმდეგ. მაგ საკითხზე რა გაარკვიეთ და ახლა რა ხდება, მეორედ რატომ გახდა საჭირო განცხადების გაკეთება?**

– სინამდვილეში გაირკვა ის, რომ ამას ახორციელებდა კერძო კომპანია, რომელმაც მეტი ნდობისა და დამაჯერებლობისთვის ჩემი და გამგეობის სახელი გამოიყენა. უფრო მეტად სარწმუნო რომ გაეხადა ამ პროექტის მიზანშეწონილობა, მიმართავდნენ მოსახლეობას გამგეობის სახელით. რაც შეეხება მეორე განცხადებას, ეს პირდაპირ შეეხება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მიერ განსახორციელებელ პროექტს, კერძოდ, აქ კეთდება წყალგაყვანილობა, სახურავები. გახდა ცნობილი, რომ ჩემთან ასოცირებული კომპანიები მიდიან და ჩემი სახელით ელაპარაკებიან ამხანაგობის თავმჯდომარეებს.

**— „ჩემთან ასოცირებული კომპანიები“ რას ჰქვია?**

– მიდიან და ამბობენ, გამგებლის კომპანიიდან ვართ და ჩვენ გარდა ამას ვერავინ გაგიკეთებთო. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მსგავსი რამ არის სიცრუე. არავინ არ უნდა წამოეგოს ამ პროვოკაციას, ჩამაყენონ საქმის კურსში და ერთად გავარკვიოთ სიმართლე. პირდაპირ ვამბობ, ან უნდა დარეკონ ჩემთან, ან სამართალდამცავებთან.

**— თქვენ რატომ არ მიმართეთ სამართალდამცავებს?**

– ჩემი განცხადება უკვე არის საფუძველი, რომ მეტი პრევენცია გავაკეთო. შეუძლიათ ეს მიიღონ ჩვენებად სამართალდამცავებმა. თუ გაფრთხილებამ არ უშველა და ამან მიიღო დანაშაულის სახე, მაშინ სამართალდამცავებმა დაიწყონ მოკვლევა.

ჩვენი პირველი განცხადების მერე იმ კომპანიამ გააკეთა განცხადება, რომ მოქმედებდნენ არა გამგეობის სახელით, არამედ თავისი სახელით.

**— სხვა რა პრობლემები გაქვთ იმ მიმართულებით, რასაც განცხადებაში წერთ?**

– ყველაზე მეტი პრობლემა გვაქვს „ყაზტრანსგაზთან“. ეს კომპანია ძალიან ბევრ ტყუილშია შემჩნეული, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ვამხილე ის, როცა საკითხი ეხებოდა კომპაქტურად დასახლებულ დევნილებში გაზის შეყვანის საკითხს, ჯერ კიდევ ზაფხულიდან ვაწარმოებდი მათთან მოლაპარაკებას. არსებობს დოკუმენტური მიმოწერაც და ისინი ამბობდნენ, საბურთალოდან არანაირი განცხადება არ შემოსულაო. მაშინ ვამხილე. ბოლო დროს სოციალურად დაუცველები მოდიან, დამეხმარეთ გაზრდილი კომუნალური გადასახადის გადახდაშიო. ძალიან რთული აღმოჩნდა „ყაზტრანსგაზის“ გაზრდილი მადის დაკმაყოფილება გამგეობისთვის, ვერ ვურიცხავთ სოციალურად დაუცველთ ჭამისა და მედიკამენტების ფულს.

**— საკრებულო უკვე საუბრობს ამ კომპანიასთან ზედმეტად დარიცხულ თანხებთან დაკავშირებით. რამე სხვას ხომ არ გეგმავს მერია?**

– მე ბოლომდე მივყვები ამ საკითხს, გვინდა, გაზის ხარისხზე დაიწყოს საგამოძიებო მოქმედება და მოსახლეობის კითხვებს გაეცეს პასუხი, ტექნიკური ხასიათი აქვს ამ პრობლემას, თუ აქ იკვეთება კომპანიის სერიოზული დანაშაული.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

## სამშენებლო კოდექსის პროექტის განხილვა დაიწყო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციატივით, „საქართველოს სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის კოდექსის“ პროექტის საჯარო განხილვა გაიმართა.

„სამშენებლო კოდექსი მოიცავს საქართველოში სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის სისტემას, სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების იერარქიასა და შემადგენლობას, მათი შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურას, აგრეთვე, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების, შენობა-ნაგებობისა და სამშენებლო მასალის ხარისხის მიმართ ძირითად მოთხოვნებს; მშენებლობის ნებართვის გაცემის, მშენებლობაზე ზედამხედველობისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესს“, – აცხადებენ სამინისტროში. (ინტერპრესნიუსი)

## სუბარს სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა სურს

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი სოზარ სუბარი სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის კომპონენტის შემოტანის მნიშვნელობაზე საუბრობს. მისი თქმით:

„ძალიან მნიშვნელოვანია სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის კომპონენტის შემოტანა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ეს ერთბაშად მოხდეს, მაგრამ ეს აუცილებელია და უკვე მოქმედებს არასრულწლოვან მსჯავრდადებულებთან მიმართებაში“, – განაცხადა სუბარმა.

მინისტრის ვარაუდით, აღნიშნული სისტემა წლის ბოლომდე საპილოტე პროგრამის სახით კიდევ რამდენიმე დაწესებულებაში ამოქმედდება.

სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა გულისხმობს თითოეული მსჯავრდადებულის საჭიროებების ინდივიდუალურ შეფასებას და სასჯელის ამის მიხედვით განსაზღვრას. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნივთიერი მტკიცებულებების მიმართ უდიერი დამოკიდებულებაა?

სასამართლო სამედიცინო ექსპერტი, მაია ნიკოლეიშვილი სხვადასხვა უწყებების მხრიდან ნივთიერი მტკიცებულებების მიმართ უდიერ დამოკიდებულებაზე საუბრობს. მისი თქმით, შს სამინისტრო თუ კრიმინოგენური სიტუაციის მართვის თვალსაზრისით საკმაოდ მაღალ დონეზეა, მას ძალიან უჭირს მკვლელობების გამოძიებაში. ექსპერტის განმარტებით, მან ექსპერტიზა ჩაატარა ორ კონკრეტულ საქმეზე და, მისივე თქმით, აღნიშნულ საქმეებში ნივთიერი მტკიცებულებების კვლევასთან დაკავშირებით მსგავსი დამოკიდებულებაა როგორც წინასწარ გამოძიებაში, ასევე სასამართლოში. განაჩენში მოსამართლეები გვერდს უვლიან ნივთმტკიცებების შეფასებას.

რაც შეეხება კონკრეტულ საქმეებს, ბრალდებულ ლევან ადეიშვილის ინტერესების დამცველ ადვოკატ ელზა ჯმუხაძის ინფორმაციით, მისი დაცვის ქვეშ მყოფ პიროვნებას ბრალად ედება სხეულის განზრახ მსუბუქი დაზიანება და განზრახ მკვლელობის მცდელობა.

„საქმე შეეხება ერთ-ერთ რესტორანში მომხდარ ჩხუბს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ჩხუბში მონაწილეობდა 15-20 ადამიანი. საქმის მასალებით დასტურდება, რომ გარდა ლევან ადეიშვილისა, დანა ჰქონდა მინიმუმ კიდევ ორ ადამიანს, თუმცა დაკავებისას მათ ეს დანები გადაყარეს“, – განმარტა ელზა ჯმუხაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არ ჩახვიდეთო



ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო სოჭის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ გზამკვლევში, ესტონეთის მოქალაქეებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ჩასვლისგან თავის შეკავებას ურჩევს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ესტონეთის საგარეო უწყება მოქალაქეებს აფრთხილებს, რომ საქართველოს მთავრობის ნებართვის გარეშე ამ ტერიტორიებზე ყოფნა უკანონო და დასჯადია.

„აფხაზეთსა და ოსეთში არალეგალური შესვლა (რუსეთის საზღვრიდან) სისხლის სამართლის დანაშაულია. ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო განმარტავს, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ოკუპირებული ტერიტორიებია და ისინი საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ. აქედან გამომდინარე, ყველა უცხოელი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ზემოხსენებულ ტერიტორიებზე შესვლისა და ყოფნის ნებართვა მიიღოს“, – ნათქვამია ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გზამკვლევში. (ინტერპრესნიუსი)

## ნანუაშვილი რეკომენდაციების დეტალურად გაწერას ითხოვს




სახალხო დამცველი უცა ნანუაშვილი აღნიშნავს, რომ, თუ პარლამენტი გაითვალისწინებს იმ რეკომენდაციებსა და შენიშვნებს, რომლებიც პატიმრობის კანონთან დაკავშირებით მიაწოდეს, თვითნებობის რისკები დაბალი იქნება.

„აღნიშნულ კანონში ცვლილებები არის წინგადადგმული ნაბიჯი. თუნდაც ის, რომ მოხდება დაყოფა და კლასიფიკაცია სასჯელაღსრულების დაწესებულებების, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილება, რითაც ძალიან ბევრი პრობლემის მოგვარება შეიძლება. ჩვენი კომენტარი და კრიტიკა სპეცსაშუალებების გამოყენებას შეეხება, რომელიც გათვალისწინებულია პროექტით. თუ იქნება დაკმაყოფილებული ჩვენი მოთხოვნა – დეტალურად გაიწეროს, თუ რა გარემოებებში შეიძლება კონკრეტული სპეცსაშუალების გამოყენება, ამ შემთხვევაში რისკი გაცილებით ნაკლებია. ვფიქრობ, ჩვენი რეკომენდაცია არის მისაღები და გათვალისწინებული. იმედია, დიდი ნაწილი ამ რეკომენდაციებისა გათვალისწინებული იქნება“, – განაცხადა ნანუაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

# საპატრიარქოს მაღაზიაში ფალსიფიცირებული პროდუქტი აღმოაჩინეს

## რას აცხადებს საპატრიარქო?





„ბარაქა, გოგი, ბარაქა“, ეს ფრაზა ხშირად მახსენდება, მაგრამ ის, რაც აღმოჩნდა სიონის ტაძრის ტერიტორიის მიმდებარედ საეკლესიო მაღაზია „ბარაქაში“, ამას რბილად დავარქმევდით მომხმარებლის შეცდომაში შეყვანს. არასამთავრობო ორგანიზაცია „მომხმარებელმა“ აღმოაჩინა, რომ საეკლესიო მაღაზია მცენარეული ცხიმის კარაქს „კარაქის“ სახელწოდებით ყიდის. რაც შეეხება აქ განთავსებულ ხაჭოსა და არაჟანს, ლაბორატორიული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ არაჟანში რძის ცხიმის მასიური წილი 2,5%-ია, ხაჭოში კი – 1%. ანუ, მიღებული შედეგებით ირკვევა, რომ არც ერთი ამათგანი ნამდვილი რძის პროდუქტი არ არის და ამ დროს მომხმარებელთა უმრავლესობის მოლოდინი საეკლესიო მაღაზიებისადმი ნამდვილად მაღალია, რადგანაც, როგორც წესი, ეს პროდუქტის ნატურალობასა და ნამდვილობას უკავშირდება.

**საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, „ალია“ არასამთავრობო ორგანიზაცია „მომხმარებლის“ წარმომადგენელს ლია თოდუას დაუკავშირდა:**

– ჩვენ მოგვმართა მომხმარებელმა და გვითხრა, რომ სიონის გვერდით, მაღაზია „მონასტრის ბარაქაში“ სულ ყიდულობდა ამ პროდუქტებს, რადგანაც მის შვილს ძალიან მოსწონდა და მოქალაქე, უბრალოდ, შემცველობით დაინტერესდა. ჩვენც მივაკითხეთ 15 იანვარს მაღაზიას და გამყიდველმა გვითხრა, რომ აქ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მეურნეობებიდან ჩამოტანილი პროდუქტი იყიდება, რაზეც საპატრიარქომ მისცა კურთხევაო. მაცივარში გუნდებად იდო დაფასოებული პროდუქტი წარწერით „კარაქი“, შეძენის დოკუმენტშიც „კარაქი“ დაგვიწერეს. ჩვენ ეს პროდუქტი ვიყიდეთ, შემდეგ კი ლაბორატორიაში ჩავაბარეთ და შემოწმებისას გაირკვა, რომ ამაში რძის ცხიმი იყო ზოგში 0% და ზოგში – 10%. წესით, უნდა იყოს 100% რძის ცხიმი, რომ პროდუქტი ჩაითვალოს კარაქად, ასეთია საერთაშორისო სტანდარტი.

**— კვლევის შედეგად რა გაირკვა? მცენარეული ცხიმია თუ ცხოველური?**

– ჩვენ არ ვიცით, ეს რა არის, რა ცხიმია, მაგრამ ზუსტად ვიცით, რომ ეს არ არის კარაქი. გარდა ამისა, აქ შევიძინეთ ხაჭო და არაჟანი, ესენიც ჩავაბარეთ ლაბორატორიას და მათში რძის ცხიმი იყო ისეთი დაბალი, რომ, შეიძლება პრაქტიკულად ჩაითვალოს, რომ ეს არ იყო რძის ცხიმი. თავად შემოწმება ჩატარდა სამ სხვადასხვა ლაბორატორიაში. ესაა სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ბიურო, ლაბორატორიები „ნორმა“ და „მომავალი საუკუნე“. ჩვენ მიერ შეძენილი პროდუქტების შესყიდვის დოკუმენტებიდან შეუძლებელია დადგინდეს იურიდიული პირი, რომელიც განაგებს სიონის ტაძრის ეზოში მდებარე „მონასტრის ბარაქას“, რადგანაც ასეთი იურიდიული პირი სამეწარმეო რეესტრში არ იძებნება.

**— შეიძლება თუ არა, ამ ფაქტს ფალსიფიკაცია ვუწოდოთ?**

– საქმე ისაა, რომ ქვეყანაში არ არის დადგენილი ნორმები, ამ დროს საერთაშორისო სტანდარტი ითხოვს, რომ ასეთი პროდუქტები რძის დასახელებით არ იყიდებოდეს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა კი ასეთ ნორმას არ ადგენს. აქედან გამომდინარე, ეს ფაქტი კანონდარღვევას არ წარმოადგენს. ერთადერთი შემიძლია, ის გითხრათ, რომ ეს ნამდვილად ძალიან სამწუხარო ფაქტია და იმედი გვაქვს, ამას ეკლესია მიხედავს და გამოასწორებს, რადგანაც ნდობის ღალატი ნამდვილად არ შეიძლება.

**— და ეს რძის ნაწარმი კონკრეტულად ვინ ჩააბარა, ეს იკითხეთ მაღაზიაში?**

– იქ აგვიხსნეს, რომ ეს არის დმანისიდან ჩამოტანილი ნაკურთხი რძის პროდუქტიო. გამყიდველმაც მეტი არაფერი იცოდა. გადავამოწმეთ სამჯერ, ჩავთვალეთ, რომ პირველ ლაბორატორიას შეეშალა და სამივეს ხომ არ შეეშლებოდა? ეს მაღაზია განთავსებულია ისეთ ადგილას, ტაძრის გვერდით და ჰქვია ისეთი სახელი, ადამიანს ექმნება შთაბეჭდილება, რომ მართლაც მონასტრის წარმოება.

**— დაბოლოს, ეს პროდუქტი, რაც თქვენ შეამოწმეთ, ორგანიზმისთვის საზიანოა?**

– გააჩნია, რა ცხიმია გამოყენებული. სამწუხაროდ, ასეთ ნარევ ცხიმებში, ანუ სპრედში, ხშირად არის მავნე ცხიმები, ანუ ტრანსცხიმები. საქართველოში ეს არც რეგულირდება და არც იზომება. ჩვენ მოვახერხეთ, რომ სულ ერთხელ გაგვეგზავნა უცხოეთში ნიმუში და ვნახეთ, რომ საკმაოდ მაღალი, 8%-იანი შემადგენლობა იყო ქართულ ცხიმში. შესაბამისად, არის საფრთხე, რომ იყოს გამოყენებული ასეთი სპრედი და ამ შემთხვევაში ის ნამდვილად მავნეა. ჩვენ თხოვნით მივმართეთ საქართველოს საპატრიარქოს, რომ არ დაუშვას მსგავსი მაღაზიების მიერ მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა, დარწმუნებულები ვართ, ეს ისეთივე მიუღებელია მათთვის, როგორც ჩვენთვის, ამიტომ, წესით, საპატრიარქოს რეაქცია აღწერილ ფაქტზე შესაბამისი უნდა იყოს.

**ახლა ვნახოთ, რა რეაქცია ექნება „საპატრიარქოს აღწერილ ფაქტზე“. ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია საპატრიარქოსგან კომენტარის მიღების მცდელობა, ის მიხვდება, რამდენი ბარიერი უნდა გაიაროს, რომ მიზანს მიაღწიოს. მოკლედ, ვრეკავთ საპატრიარქოს პიართან, რომელიც გვამისამართებს პატრიარქის მდივან, მამა მიქაელ ბოტკოველთან.**

– ეგ საიდან უნდა ვიცოდე, მე პატრიარქის მდივანი ვარ და რა ვიცი კარაქი და რძე?

**— კი, მაგრამ ტაძრის ტერიტორიაზე არსებული საეკლესიო მაღაზიაა და არ გეხებათ? ვის ვკითხოთ, აბა?**

– არ ვიცი. საპატრიარქოს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტში, ალბათ.

**ვრეკავთ საიტზე მითითებულ სოფლის მეურნეობის განვითარების ცენტრში და იქაც უარით გვისტუმრებენ. ამის შემდეგ ვრეკავთ საპატრიარქოს კანცელარიაში, სადაც გვეუბნებიან, კახა მახათაძე გაგცემთ პასუხსო.**

**კახა მახათაძე:**

– ამ ფაქტის გამო ჩვენც უხერხულ სიტუაციაში აღმოვჩნდით, მართალი ბრძანდებით. ვერავის ენდობი. შეიძლება, ერთ დღეს მართლაც იყო ასეთი რამ. შეიძლება, ხვალ რომ ნახოთ, არაფერი არ იყოს.

**— ხვალ, ვაიდა, საერთოდ ამ მაღაზიაში სულაც ვადაგასული პროდუქტი მომყიდონ?**

– მანდ ვადაგასულს ვერ გაყიდიან, რადგანაც ყოველდღე მოდის ახალი. მაგრამ ეს პროდუქტი შემოდის ისეთი მცირე რაოდენობით, რომ ანალიზის გაკეთება რთულია. რაც მითხარით, ისე დავინტერესდით, ხვალ რომ მოვა ეს პროდუქტი, უკვე ჩვენ გავსინჯავთ ექსპერტიზაზე.

**— ამ მაღაზიას სამართლებრივი შეხება აქვს საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან? და რატომ ხვდება იქ ასეთი პროდუქტი?**

– ჩვენ გვაქვს ჩვენი მეურნეობები და ამიტომაც არის ეს მაღაზიები გახსნილი. მაგრამ ხდება ხოლმე, რომ ეს მეურნეობები ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას და მრევლისგან ხანდახან მამაოს კურთხევით ვიღებთ პროდუქტს და მაგიტომ გამოგვეპარა.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გირგვლიანის საქმეზე შოკისმომგვრელი ფაქტები გამოიკვეთა?




დათა ახალაიას ადვოკატი ირაკლი ზაქარეიშვილი სანდრო გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით არჩილ კბილაშვილისა და ლევან ბუხაიძის განცხადებებს პასუხობს. ზაქარეიშვილის მტკიცებით, გამოძიების პროცესში გამოიკვეთა შოკისმომგვრელი ფაქტობრივი მოცემულობები, რასაც „გამომძიებლები ვერაფერს უხერხებენ“.

„გამოძიებით უსათუოდ დასადგენია, ვინ მიაყენა გირგვლიანს სხეულის დაზიანებები, მათ შორის სასიკვდილო დაზიანება. გამოსავლენია საქმის რეალური გარემოებები, თუ როგორია ლევან ბუხაიძისა და თბილისის შს მთავარი სამმართველოს ყოფილი ხელმძღვანელობის როლი გირგვლიანის საქმეში.

დაბეჯითებით ვაცხადებ, რომ გამოძიების პროცესში გამოიკვეთა შოკისმომგვრელი ფაქტობრივი მოცემულობები, რასაც გამომძიებლები ვერაფერს უხერხებენ. რაც შეეხება ლევან ბუხაიძის ბოლოდროინდელ განცხადებებს, მიმაჩნია, რომ ამ საქმეში მას საკუთარი როლი და ფუნქცია აშინებს და მისი გააქტიურებაც ამით არის გამოწვეული“, – აცხადებს ზაქარეიშვილი.

მისივე განმარტებით, „ლევან ბუხაიძის მიერ გამოძიების სხვადასხვა ეტაპზე მიცემული ურთიერთსაწინააღმდეგო, ურთიერთგამომრიცხავი და საქმის გარემოებებთან შეუსაბამო ჩვენებები, უტყუარად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ, როგორც მინიმუმ, მის ინტერესებში არ შედის სიმართლის დადგენა... ვურჩევ მას, შეწყვიტოს საზოგადოებისა თუ გამოძიების შეცდომაში შეყვანის მცდელობები და ზოგიერთებივით, დაელოდოს მოვლენათა განვითარებას. ვიმედოვნებ, ძალიან მალე, ლევან ბუხაიძეს (და არამარტო მას) ხელახლა მოუწევს ბევრ რამეზე პასუხის გაცემა“, – აცხადებს ადვოკატი. (ინტერპრესნიუსი)

## გურიის გუბერნატორს პროექტის დეტალები გააცნეს

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, დავით გალეგაშვილმა და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორის მოადგილემ, არჩილ ბუკიამ „მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ დეტალები გურიის რეგიონის გუბერნატორს, მუნიციპალიტეტის გამგებლებსა და საკრებულოს თავმჯდომარეებს გააცნეს. სამინისტროს ცნობით, პროექტით დახმარებას წელს 48,218 ფერმერი მიიღებს.

„პროექტის ბენეფიციარები იქნებიან ფერმერები, ვისაც საკუთრებაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნიათ 1.25 ჰა-ს ჩათვლით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროექტის მიზანი, ფერმერების მაქსიმალური ხელშეწყობაა. წელს პროექტის ბიუჯეტი 90 მილიონამდე ლარს შეადგენს. ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ სიების დაზუსტებისა და ხარვეზების აღმოფხვრის შემდეგ, წელს საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტით დაახლოებით 800 000-მდე მცირემიწიანი ფერმერი ისარგებლებს“, – განაცხადა დავით გალეგაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## წერეთელზე ხანძარი ლიკვიდირებულია

წერეთლის №72-ში ხანძარი ლიკვიდირებულია. თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსის თემურ გიორგაძის განცხადებით, დამწვარია შენობის სახურავი, დაახლოებით 15-20 კვადრატული მეტრი.

ადგილობრივი მცხოვრებლების ინფორმაციით, შენობის ერთ ნაწილში განთავსებულია საბავშვო ბაღი. მათივე თქმით, შენობის პირველ სართულზე ფუნქციონირებს რესტორანი, მეორე სართულზე სასწავლო ინსტიტუტი, ხოლო შენობის მესამე სართულზე ცხოვრობენ დევნილები. რამდენიმე დევნილს, ხანძრის გამო სასწრაფო დახმარების აღმოჩენა დასჭირდა.

დევნილების ინფორმაციით, აღნიშნულ ტერიტორიაზე ხანძრის პირველი შემთხვევა არ არის. შენობაში ხანძარი წარსულში 3-4-ჯერ გაჩნდა.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო 10 სახანძრო-სამაშველო ბრიგადა და სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახური. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YELLOW BLACK





# როგორ აფასებს ფსიქოლოგი ივანიშვილის „მოქალაქის“ პრეზენტაციას?

**ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ნოდარ სარჯველაძე:**

– პრესკონფერენციამ დატოვა ისეთი შთაბეჭდილება, რომ მასზე როლების აღება აშკარა იყო. ჟურნალისტები ივანიშვილს უყურებდნენ, როგორც პრემიერ-მინისტრს და კითხვების უმეტესობა არა არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქეს“ ეკუთვნოდა, არამედ ეკუთვნოდა ივანიშვილს, როგორც ყოფილ პრემიერ-მინისტრს. სხვათა შორის, ყოფილი პრემიერიც ჟურნალისტების კითხვებზე ისე პასუხობდა, როგორც არა ახალი ორგანიზაციის პრეზენტატორი, არამედ როგორც ყოფილი პრემიერი. მას ხშირად უწევდა მის მიერ დანიშნული მთავრობის გამართლება. რადგან ივანიშვილი ახლა არასამთავრობო სექტორშია, მისი მოკავშირე მედია უნდა იყოს. მედია უკვე მისი ოპონენტი აღარაა. არადა, ის ამ პრესკონფერენციაზეც გარკვეულწილად დაუპირისპირდა მედიას. ის მედიასთან პოლემიკაშიც შევიდა, რამაც ამ პრესკონფერენციას მეტი გაუგებრობა შესძინა. ეს ამ ღონისძიების აშკარად ნაკლოვანი მხარე იყო.

რაც შეეხება პრეზენტაციის იმ ნაწილს, სადაც გაჟღერდა ამ ორგანიზაციის მიზანდასახულობა. ძალიან საინტერესოა ივანიშვილის მიერ დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციის სათაური. ის მოკლეა, მაგრამ საკმაოდ ტევადი. ჩემი აზრით, საკმაოდ საინტერესო იყო ივანიშვილის მიერ გაკეთებული განმარტებები საერთოდ „მოქალაქეზე“ და იმ ორგანიზაციაზე, რომელიც მან დააფუძნა. აბსოლუტურად გასაგებია მისი და მისივე ორგანიზაციის მიზანი – ქვეყანაში იმგვარი „მოქალაქეების“ გაჩენა, რომლებიც ერთდროულად მოაზროვნე და პასუხისმგებლობის მქონენი იქნებიან გარშემომყოფ თანამოქალაქეებზე, ქვეყნის მომავალზე. მან ხაზი გაუსვა, ერთი მხრივ, პასუხისმგებლობის ქონას, ხოლო მეორე მხრივ ყურადღება გაამახვილა მოქალაქეების მხრიდან ხელისუფლების კონტროლის აუცილებლობაზე. რამდენადაც მივხვდი, ივანიშვილის ორგანიზაციის დომინანტური ფუნქცია იქნება ხელისუფლებაზე კონტროლი და სწორედ ეს უნდა იყოს მის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციის მთავარი ფუნქცია.

**— შეიძლება ითქვას, რომ არ გამართლდა მედიის ვარაუდი, თითქოს ივანიშვილი თავის** ტროლებელი ფუნქცია არა მარტო „მოქალაქეს“ აქვს, არამედ აქვთ ოპოზიციურ პარტიებს. კარგია, რომ ივანიშვილის ორგანიზაცია ამ ფუნქციას იღებს, მაგრამ ფაქტია, რომ ის ოპოზიციას ვერ ჩაანაცვლებს.

**— ივანიშვილმა ბრძანა, რომ მას „მთავრობის მიმართ შენიშვნები არა აქვს“. არადა, ცივილიზებულ ქვეყნებში, სადაც კი არასამთავრობო სექტორი ძლიერია, სწორედ ამით არიან დაკავებული. აქედან გამომდინარე, რამდენად ქმედითი და ეფექტური შეიძლება იყოს არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ საქმიანობა ხელისუფლების კონტროლის თვალსაზრისით?**

– ბატონ ივანიშვილის აქილევსის ქუსლი სწორედ ეს გახლდათ. მან შექმნა ორგანიზაცია, რომელიც ორიენტირებულია კონტროლზე, ასე ბა ასე ითქვას, თავის პოლიტიკურ მემკვიდრეებს კრიტიკულად არ აფასებს. გამოდის, რომ ივანიშვილი უფრო ზრუნავს მთავრობის გამართლებაზე, ვიდრე ამ ხელისუფლების რეალურ ეფექტურობაზე.

**— სამართლიანობის აღდგენის თემა ის საკითხია, რომელსაც ახალ ხელისუფლებას მუდამ ახსენებენ. ამავე პრესკონფერენციაზე ექსპრემიერს მოუწია იმის აღიარება, რომ ხელისუფლებას „ყველაზე მეტი პრობლემა პროკურატურაში ჰქონდა“. მან ასევე ყურადღება გაამახვილა „ნაცმოძრაობის“ ლიდერთა „თავხედობასა და უტიფრობაზე“ და საზოგადოებას ურჩია, ღიმილით შეხედოს ყოფილი ხელისუფლებისა და შალვა ნათელაშვილის განცხადებებს?**

– ამ განცხადებით ივანიშვილმა საზოგადოებას ამ პოლიტიკური სუბიექტების **არასამთავრობო ორგანიზაციას იმისთვის ქმნის, რომ სურს, საინფორმაციო სივრცეში ჩაანაცვლოს და ჩააჩრჩოს პოლიტიკური პარტიების დამატებებად ქცეული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხელისუფლებას აქტიურად აკრიტიკებდნენ?**

– ჩემი აზრით, ივანიშვილის ამ წამოწყებაზე თავად მედიას ჰქონდა არასწორი წარმოდგენა. ეს მედიისა და ჟურნალისტების პრობლემაა. ივანიშვილს ამგვარი რამ არასოდეს უთქვამს, ამის სიმპტომებიც კი არ ჩანდა. ამ სიმპტომების დანახვა მხოლოდ მას შეეძლო, ვისაც სწორედ ასე უნდოდა ვითარების დანახვა. მე სხვა რამ მიკვირს, რატომაა „მოქალაქის“ აქტივობა დაყვანილი მხოლოდ ხელისუფლების კონტროლზე. ეს საკმაოდ შეზღუდული ხედვაა. მე იმას კი არ ვამბობ, რომ ივანიშვილს აქვს შეზღუდული ხედვა. საკითხი არაა მთლად სწორად დაყენებული. მაკონვთქვათ, პოზიტიურ კრიტიკაზე, მაგრამ მას მთავრობის მიმართ არავითარი კრიტიკული შენიშვნა არ აქვს. ბუნებრივია, აქ წინააღმდეგობა არის მისი ორგანიზაციის ძირითად მოწოდებასა და რეალურად მის მიერვე გაკეთებულ განცხადებას შორის.

ახალი მთავრობის საქმიანობიდან საკმაოდ დიდი დრო გავიდა და თუ მას ახლა შენიშვნა არა აქვს, ძალიან ცუდია. ასეთ ვითარებაში რა კრიტიკული შენიშვნები შეიძლება ჰქონდეს მის არასამთავრობო ორგანიზაციას, გაუგებარია. ამიტომ ვამბობ, პირადად მე არ ვიცი, რამდენად ქმედითი და ეფექტური იქნება. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ჯერჯერობით ივანიშვილი მის მიერვე შექმნილი მთავრობის ეფექტურობის ილუზიის ტყვეობაშია. თუ მას ჩვენი მთავრობისთვის შენიშვნა არა აქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი, თუ შეიძლედაცინვისკენ მოუწოდა. არა მგონია, ვინმემ ნათელაშვილს იუმორში მოუგოს, მას იუმორი და ღიმილი არ აკლია. არასამთავრობო სექტორში გადასული ადამიანი პოლიტიკურად მიკერძოებულ განცხადებებს არ უნდა აკეთებდეს. ეს იყო მისი პრეზენტაციის ყველაზე სუსტი წერტილი. სამწუხაროდ, პრესკონფერენციაზე მე ვერ დავინახე, რომ ექსპრემიერი თავის დღის წესრიგს მიჰყვებოდა. მე რომ მის ადგილზე ვყოფილიყავი, „ნაციონალებისა“ და ნათელაშვილის მაგივრად „მოქალაქის“ კონკრეტულ გეგმებზე, სამომავლო მუშაობაზე საუბარს უფრო მეტ დროს დავუთმობდი. მეტს ვისაუბრებდი ეკონომიკაზე და არ შევიდოდი ჟურნალისტთან იმაზე კამათში, რომელმა იცოდა უკეთ მათ შორის ეკონომიკა. მას საზოგადოებაში უნდა გაეჩინა მის მიერვე ახლად დაფუძნებული ორგანიზაციისადმი პატივისცემა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ახალგაზრდა ექსპერტების გამოვლენა იწყება

გიორგი ხუციშვილის სახელობის კონფლიქტების მართვისა და პრევენციის სამხრეთ კავკასიის სკოლა მსმენელთა მიღებას აცხადებს.

ორგანიზაციის ცნობით, პროექტის მიზანია, სფეროს ექსპერტებისა და დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის ახალი სივრცე შექმნას, გამოავლინოს სფეროში მოღვაწე ახალგაზრდა ექსპერტები, რომლებიც კვალიფიკაციის ამაღლებით არიან დაინტერესებულნი. სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს, რეგიონში კონფლიქტოლოგიის, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის განვითარებასა პოპულარიზაციას. გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებას ახალგაზრდა თაობისთვის. საპილოტე პროგრამა გულისხმობს 7-დღიან სასწავლო კურსს, საიდანაც თითოეული დღე მიეძღვნება ერთ ექსპერტს და, შესაბამისად, ექსპერტის მიერ შერჩეულ საკითხს.

„მასტერკლასები მიეძღვნება შემდეგ საკითხებს: ეკონომიკური უსაფრთხოება; კავკასიის კონფლიქტები; კონფლიქტების პრევენცია და დარეგულირება; ქართულ-აფხაზური სამართლებრივი ურთიერთობები. მასტერკლასებს ჩაატარებენ საქართველოში ცნობილი სფეროსი ექსპერტები, რომელთა შესახებაც ინფორმაციასა და კონკრეტული სალექციო კურსის დასახელებებს შერჩეული სტუდენტები მიიღებენ სწავლის დაწყებამდე“, – განმარტავენ ორგანიზაციაში. (ინტერპრესნიუსი)

## 16 მსჯავრდადებული ქალი შიმშილობს

ქალთა მე-5 კოლონიის პირველ კორპუსში 16-მა მსჯავრდადებულმა შიმშილობა დაიწყო. პატიმრები სამართლიანობის აღდგენასა და მათი საქმეების გადახედვას ითხოვენ. როგორც მსჯავრდადებულმა ლელა რუდენკომ განაცხადა, 16 მოშიმშილიდან რამდენიმე ქალთა კოლონიაში ე.წ. ციხის ბუნტის საქმეზეა მსჯავრდადებული და მათ არც ამნისტია შეეხოთ, არც პირობით ვადაზე ადრე განთავისუფლების კომისია აპირებს მათი საქმეების განხილვას.

რუდენკოს ინფორმაციით, პროტესტის გამოსახატავად ციხის ადმინისტრაციამ მოშიმშილეებს ოთახი გამოუყო და მსჯავრდადებულები მათი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ლაფანყურის ანგარიშის ნაწილი კონფიდენციალური იქნება?



სახალხო დამცველის, უჩა ნანუაშვილის განცხადებით, ლაფანყურის სპეცოპერაციასთან დაკავშირებით სახალხო დამცველთან არსებული საზოგადოებრივი საბჭოს ანგარიშის გარკვეული ნაწილი შესაძლოა, კონფიდენციალური იყოს.

მისი თქმით, დასკვნა, სავარაუდოდ, გაზაფხულზე გახდება ცნობილი, მანამდე კი ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს.

„ლაფანყურთან დაკავშირებით ჩვენი საბჭო ძალიან აქტიურად მუშაობდა. ათობით ადამიანს შევხვდით და ვესაუბრეთ, მივიღეთ ახსნა-განმარტებები, ასევე ხდება სხვადასხვა ვიდეო, ფოტომასალის შეგროვება, იმისთვის რომ მოხდეს ანალიზი. ძალიან დიდი ნაწილი მოწმეებთან გასაუბრების დასრულებულია. დარჩა რამდენიმე მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადამოწმება. მეორე ეტაპი მალე დაიწყება, როდესაც მოხდება მიღებული ინფორმაციის შეჯერება, გაანალიზება და საბოლოო ანგარიშში ასახვა. გამიჭირდება კონკრეტული რიცხვის თქმა, როდის დასრულდება სამუშაოების ჩატარება, საკითხი არის საკმაოდ რთული და იმედი მაქვს, რეალისტურ დროში მოხდება შედეგების დადება“, – განაცხადა ნანუაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## ბუხაიძის მიმართ ბინძური კამპანია მიდის?



ოქროყანის სასაფლაოზე სანდრო გირგვლიანთან ერთად ნაწამები ლევან ბუხაიძის განცხადებით, სანდრო გირგვლიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ზუსტად ისეა ყველაფერი, როგორც არაერთ ჩვენებაში აქვს ნათქვამი. მისი თქმით, ამ ეტაპზე ის დამატებით კომენტარს არ გააკეთებს. „აღნიშნულზე გამოძიებისთვის მაქვს მიცემული ჩვენება. ჩემს პოზიციას ამასთან დაკავშირებით ვერ ვიტყვი. ზუსტად ისეა ყველაფერი, როგორც არაერთ ჩვენებაში მაქვს ნათქვამი“, – განაცხადა ბუხაიძემ.

მისი თქმით, გაურკვეველი პროვოკატორები მის მიმართ მიზანმიმართულ ბინძურ კამპანიას ახორციელებენ.

„მინდა გავაკეთო განცხადება გაჟღერებულ ცრუ ბრალდებებთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს მიზანმიმართულად გააქტიურდა სანდრო გირგვლიანისა და ჩემ მიმართ ბინძური კამპანია. ეს არის ავადმყოფური ბრალდებები. საქმე დაბრუნდა ხელახალ გამოძიებაში და აქამდე იმიტომ არ ვაკეთებდი კომენტარს, რომ მე, როგორც მოწმეს, არ მაქვს უფლება, გამოძიების მასალები გავახმაურო. შესაბამისად, ვერ გამოვეხმაურები ყველა საგაზეთო სტატიასა თუ სატელევიზიო სიუჟეტს... გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ სანდროს მკვლელობაში განსასჯელებს ციხეში ვნახულობდი და ისინი ჩემი ტელეფონის ნომრით სარგებლობდნენ. ეს არის სრული სისულელე და ტყუილი. ვინ უნდა მენახა? სანდროს მკვლელები და ჩემი სიცოცხლის გამმწარებლები? ერთ-ერთი ადვოკატი იმასაც ამბობს, რომ თითქოს მე მაქვს კავშირი სანდროს მკვლელობასთან. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინდელ გამოძიებას არ გაუჭირდებოდა ჩემთვის მკვლელობის დაბრალება და ამის მცდელობა მაშინ იყო. ვისაც არ ეზარება, ცდილობს, სანდროსა და ჩემი სახელით საკუთარ თავს გაუკეთოს პიარი. მიზანმიმართული კამპანია მიდის, რომ როგორმე მოხდეს ამ საქმეში დამნაშავეების რეაბილიტაცია. ამისთვის კარგად იყენებენ ზოგიერთ მედიასაშუალებას. ჟურნალისტებს გთხოვთ, ნუ აჰყვებით ამ ბინძურ კამპანიას. გამოძიება მიმდინარეობს და დაადგენს ყველა დამნაშავეს. ყველა ტყუილს დიდი ტკივილი მოაქვს ჩემთვის, სანდროს მამისთვის“, – აღნიშნა ბუხაიძემ. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge

## რუსეთში 26 მილიონი ბოთლი ქართული ღვინო შევიდა



მხოლოდ ბოლო ერთი თვის განმავლობაში, საქართველოდან რუსეთში 2 720 454 ბოთლი ღვინო შევიდა. ღვინის ეროვნულ სააგენტოს განცხადებით, სტატისტიკის მიხედვით, 2013 წლის 10 ივნისიდან დღემდე, რუსეთში 26 მილიონი ბოთლი ღვინის ექსპორტი განხორციელდა. აქედან, 2014 წლის დასაწყისიდან დღემდე, ეს მაჩვენებელი 2 720 454-ს შეადგენს.

რაც შეეხება ემბარგომდე არსებულ ვითარებას, 2005 წელს საქართველოდან რუსეთში 52 336 000 ბოთლი ღვინო გავიდა, ხოლო 2006 წლის დასაწყისიდან მარტამდე – 10 00 857 ბოთლი. (ინტერპრესნიუსი)

## სომხეთიდან არჩილ მაღრაძის ცხედარი გადმოასვენეს



სომხეთის სამთო-სათხილამურო კურორტ წაღკაძორში დაღუპული „არმენტელის“ კომერციული დირექტორის, არჩილ მაღრაძის ცხედარი საქართველოში გადმოასვენეს. ცხედარს სამედიცინო ექსპერტიზა ჩაუტარდა და დასკვნა უახლოეს პერიოდში იქნება ხელმისაწვდომი.

„ჩვენ გამოვითხოვეთ სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა. როგორც კი ოფიციალური ცნობა მომივა, ვაცნობებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს“, – განაცხადა სომხეთში საქართველოს კონსულმა შორენა წიკლაურმა.

მაღრაძე ცხედარი 3 თებერვალს სამთო კურორტზე გაყინულ მდგომარეობაში იპოვეს. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



# ექსპერტი



# ჩინელის მიერ ჩადენილ მკვლელობაზე ხმაურის ატეხვა არ შეიძლება?

**5 იანვარს ჩინური წარმოშობის საქართველოს მოქალაქემ მოკლა ქართველი. მანამდე ერთ-ერთ რესტორანში თურქებსა და ქართველებს შორის მოხდა შეტაკება. აღმაშენებლის გამზირზე ვიღაც ერაყელმა ქალმა დაჭრა ორი ადამიანი. არის თუ არა ეს იმის შედეგი, რომ მიხეილ სააკაშვილმა წასვლის წინ ათასობით უცხოელს ჩამოურიგა საქართველოს მოქალაქეობა? გახდება თუ არა ეს ხალხის აღშფოთების საგანი?**

**ამ და 5 თებერვლის სხვა საინტერესო თემებზე „ალიას“ პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ესაუბრება:**

– ასეთი რალაცები ყველა ქვეყანაში ხდება, აქ საქართველო გამორჩეული ვერ იქნება, მით უმეტეს, ჯერ არ არის დადგენილი, ვინ ტყუოდა, რამ გამოიწვია ასეთი აგრესია? მე პირადად ჩინეთის საელჩოსთან ძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს, ელჩი ხშირად მოდის ჩვენთან სამსახურში, ვმეგობრობთ. საერთოდ, ჩინელები ბუნებით თავაზიანი ხალხია, გარეგნულად მაინც. კი, არის ჩინური და იაპონური მაფიები, მაგრამ მე ვლაპარაკობ ზოგადად ხალხზე. აქ ჩვენ მაინც მივდივართ ერთ პრობლემამდე: რამდენად გამართლებული იყო უპრაგონოდ, ყოველგვარი შემოწმების გარეშე, უბრალო განცხადებით ამდენი ადამიანისთვის მოქალაქეობის მინიჭება? ვერ გავიგე, საქართველო პროფკავშირებია თუ დოსააფი? ალბათ, გახსოვს, შენთან საუბრებში მე ამას არასოდეს ვემხრობოდი.

**— სოციალურ ქსელებში უკვე გამოჩნდა აგრესიული განცხადებები: მოაშორეთ აქედან, ეს დამპალი თესლით გაკეთებულები, გათახსირებულები და ასე შემდეგ.**

– მოდი, ამ საკითხს ასე მივუდგეთ, ქვეყნისთვის რა უფრო საშიშია, თითო-ოროლა კრიმინალური ექსცესი, თუ რასისტული გამოხტომები, მაშინ როცა ევროკავშირში შესვლა გვინდა? ორივე ძალიან ცუდია, ჩვენ ევროპელები ვერ გავხდებით მხოლოდ იმით, რომ გვეუბნებიან, ტაში უკარით პედერასტებსო. ამას მოსდევს შემწყნარებლობა და ტოლერანტობა. არადა, ევროპაში რასობრივ ნიადაგზე გაცილებით უარესი რაღაცები ხდება. საფრანგეთსა და ინგლისში უარესი ხდება, მე თვითონ მინახავს, ჰოლანდიაში როგორ უზრდელურად და თავხედურად იქცევიან შავკანიანები. დიდი სახელმწიფოებისთვის ეს არის, როგორც სპილოს უჩხვლიტო ნემსით. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და ასე, აბა, ვის გინდათ, ბიჭებო, მოქალაქეობა, მოდით, მოგცემთ, ეს დიდი სისულელეა. როდესაც იცი, რომ შენ გარშემო არცთუ მეგობრული სახელმწიფოებია, რატომ აკეთებ ამას? როგორ გგონია, თურქეთი არ იკადრებს, რომ აქ დიდძალი აგენტურა შემოუშვას და მეხუთე კოლონა შექმნას? იცი, ამას თურქები რას ეძახიან? ჯანსაღ სახელმწიფო ეგოიზმს, რაც ჩვენ არ გაგვაჩნია საერთოდ. რამდენი ქართველია უცხოეთში, ამით მარტო არჩევნების დროს დაინტერესდება ხოლმე მმართველი გუნდი. ჯერ მიშა იყო, ახლა ესენი არიან და იგივეს აკეთებენ. ჩამთავრდება არჩევნები და მორჩა, დავიწყებულები არიან. ამერიკელები ხშირად ერთი თავიანთი მოქალაქის გადასარჩენად დედამიწის ნებისმიერ წერტილში 2 მილიარდ დოლარად ღირებულ თვითმფრინავს გზავნიან.

**— ბატონო სოსო, გადავიდეთ მეორე თემაზე. 5 იანვრის „ალიაში“ ნოდარ ჯავახიშვილმა განაცხადა, სამართლიანობის აღდგენა გვიანდება და ამ საკითხში მე და ბიძინა ივანიშვილი ერთ პოზიციაზე ვართო. რასთან გვაქვს საქმე, ესე იგი, ივანიშვილს სამართლიანობის აღდგენა უნდა და არ უჯერებენ, თუ თავისი „მოქალაქიდან“ „მიაწვება“ ხელისუფლებას ამ მოთხოვნით?**

– ერთ საინტერესო რაღაცას გეტყვი: გასული საუკუნის 60-იან წლებში ექვსჯერ ზედიზედ ჩავედი ეგვიპტეში, სადაც მმართველი იყო ნასერი. არსებობდა საბჭოთა საელჩო, რომლის ნახევარიც დაკომპლექტებული იყო „კაგებეშნიკებით“, ხოლო მეორე ნახევარი – გენერლებით, სამხედროებით. იარაღს ვყიდდით, ეგვიპტეს ვაწვდიდით და სამაგიეროდ შემოგვქონდა ბამბა. ეს ჩვეულებრივი ბამბა არ გეგონოს, არსებობს გრძელბოჭკოიანი ბამბა, რომელსაც კოსმოსური ხომალდების მშენებლობაში იყენებენ. ეს ძირითადად მოდის მხოლოდ ნილოსის ველზე. სანამ ჩვენ შევიდოდით ეგვიპტეში, ბამბა მიდიოდა ინგლისში და 60-იანი წლებიდან წამოვიდა საბჭოთა კავშირში. სწორედ მაშინ გავიცანი ჟენია პრიმაკოვი, ვითომ ჟურნალისტობდა, „პრავდის“ კორესპონდენტი იყო, მაგრამ სინამდვილეში „კაგებეს“ ხაზით მუშაობდა, „პაგონები“ ჰქონდა. რუსები რომ დათვრებოდნენ ხოლმე, პირდაპირ ლაპარაკობდნენ: არა, ძმაო, არაფერი არ გამოვა, ნასერი კი ჩვენია, სოციალისტია, მაგრამ მის ქვემოთ ყველა ანტისაბჭოაო. რასაც ნასერს შევთავაზებთ, იმ კანონებს აწერს ხელს, მაგრამ ზემოდან რომ წამოვა, ქაღალდი რამდენ კაბინეტშიც შევა, იმდენი წინადადება აკლდებაო. ისე აგიხდა ყველაფერი, ნასერი მოკვდა თუ არა, ეგვიპტემ საბჭოთა კავშირს პანჩური ამოარტყა, ამერიკისკენ შეტრიალდა საძმაკაცოდ. იგივე ვარიანტია ჩვენთანაც. ამიტომ იყო, რომ კბილაშვილმაც ვერ მიაღწია ვერაფერს. პროკურატურა უკვე მონსტრია. ამას ემატება ბევრის პირადი დაინტერესება, არაპროფესიონალიზმი. მართლა რა ქნას ახლა ამ მთავრობამ, საიდან უნდა მოიყვანოს 800 ახალი პროკურორი და გამომძიებელი? დღეს ვერ ნახავ ადამიანს, რომელსაც ძველ ხელისუფლებაში რაღაცა პოსტი არ ეკავა.

**— გიორგი ვაშაძე გამოდის პარლამენტში და იქით აწვება უმრავლესობას, სამართლიანობის აღდგენაზე ლაპარაკობს ხელისუფლებამ და პროკურატურამ ვერც ერთი საქმე ვერ მიიყვანა ბოლომდეო. ესენი უკვე ლადაობენ.**

– იცი, რატომ ლადაობენ? პროკურატურაში სულ სხედან მაგათი კადრები. ისევე, როგორც დღეს სახელმწიფო აპარატი გადატენეს „ჯიპადან“ გამოსული ხალხით. აი, ეს არის სიმართლე. ვერ მოიყვან დღეს შენს ერთგულ პროკურორებს ასე უცებ, მაშინ უნდა დაიწყო ლენინის პოლიტიკა, რომელიც მინისტრებად ნიშნავდა ჯარისკაცებს. ლენინმა ყველა დახვრიტა, ყველა გაყარა, მხოლოდ გლეხები და მუშები დატოვა. მაშინ დიდი ტვინი არ იყო საჭირო, ძველი ხელისუფლების წარმომადგენლებს ხვრეტდნენ და ეგ იყო. დროა საჭირო, ისევ დრო, მაგრამ ამასობაში გავიდა ცხოვრება. ივანიშვილი რომ გვამშვიდებს, 20 წლის მერე იქნება ნორმალური სიტუაციაო, რა ქნას 60 წელს გადაცილებულმა ხალხმა? ან თვითონ ბიძინა რამდენი წლისა იქნება მაგ დროს, 77-ის. ჩვენი საქმე ისეა, კაცი რომ ბჭობდა და ღმერთი იცინოდა.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## აჭარის ანსამბლის წევრებმა აქცია გამართეს



აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის წევრებმა ბათუმში აქცია – „ხელოვნება პოლიტიკის გარეშე“ გამართეს. აქციის მონაწილეებმა ავტომობილებზე პლაკატები „დაგვიბრუნეთ სამხატვრო ხელმძღვანელი“ დაამაგრეს და ბათუმის ცენტრალური ქუჩები შემოიარეს. მოცეკვავეები და მუსიკოსები მთავრობის წევრებს, კულტურის სამინისტროსა და უმაღლეს საბჭოს სამხატვრო ხელმძღვანელის თემურ ქორიძის თანამდებობაზე დაბრუნებას სთხოვენ. აქციის მონაწილეები ჯერ აჭარის მთავრობის სახლთან შეჩერდნენ, შემდეგ კი კულტურის სამინისტროსთან გადაინაცვლეს.

როგორც მოცეკვავე მურთაზ მანზოლაშვილი აღნიშნავს, კულტურის სამინისტრო სახელმწიფო ანსამბლთან შეთანხმების გარეშე იღებს გადაწყვეტილებებს, რასაც ანსამბლის წევრები არასდროს დაეთანხმებიან.

„უმაღლესი საბჭოს წევრები, კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები დაგვემუქრნენ, რომ თუ თანამდებობას დატოვებდა ანსამბლის დირექტორი ავთანდილ ჭოლაძე, სამხატვრო ხელმძღვანელს თემურ ქორიძესაც გაათავისუფლებდნენ სამსახურიდან. ალბათ, ასრულებენ ამ პირობას. თემურ ქორიძეს კარგის მეტი არაფერი გაუკეთებია, წარმატებები გვქონდა და ვიბრძოლებთ უსამართლობის წინააღმდეგ“, – აღნიშნა მანზოლაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## სოფლის რწმუნებულთა ადგილები შენარჩუნდება



მუნიციპალიტეტების საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობაში სოფლის რწმუნებულთა საშტატო ადგილები შენარჩუნდება. ამას „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ პროექტის ღიად დარჩენილი მუხლის ახალი ფორმულირება ითვალისწინებს, რომლის მიხედვით, მუნიციპალიტეტების აპარატში, კანონით დადგენილი საშტატო ერთეულების ფარგლებში სოფლის რწმუნებულებიც არიან გათვალისწინებული.

ერთ-ერთი სადავო საკითხი, რომელიც კოდექსის პროექტს უკავშირდება, მუნიციპალიტეტების საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობის განსაზღვრაა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ პარლამენტში წარდგენილი პროექტის მიხედვით, გამგეობის, მერიის და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა ოდენობა 30 მინიმალური საშტატო ერთეულით განისაზღვრება, რასაც ყოველ 500 ამომრჩეველზე ერთი საშტატო მოსამსახურე უნდა დაემატოს. პროექტი ამ მიმართულებით კიდევ ერთ შეზღუდვას აწესებს, რომლის მიხედვითაც, საკრებულოსა და გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ხარჯები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების 25%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

პარლამენტმა „თვითმმართველობის კოდექსის“ პროექტი მეორე მოსმენით, აღნიშნული მუხლის გარეშე მიიღო. (ინტერპრესნიუსი)



# კულუარები

# არასაპარლამენტო ოპოზიციაში დიდი განხეთქილება დაიწყო!



4 იანვარს ქუთაისში ინტერფრაქციული ჯგუფის სხდომა გაიმართა, სადაც ახალი ინიციატივის შესახებ იმსჯელეს. მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსა“ და „ტრადიციონალისტების“ მტკიცებით, საარჩევნო კოდექსში უნდა შევიდეს ცვლილება, რომლის მიხედვითაც, ადგილობრივ და საპარლამენტო არჩევნებში კანდიდატებს ველარ წარადგენენ საინიციატივო ჯგუფები. თუ ვინმეს დეპუტატობის სურვილი გაუჩნდება, ეს უნდა გააკეთოს რომელიმე პარტიის ეგიდით. საინიციატივო ჯგუფები ასევე ველარ წარადგენენ მერებისა და გამგებლების კანდიდატებს. არასაპარლამენტო პარტიების ლიდერები ამბობენ, რომ ამით ბოლო მოეღება ათასგვარ მაქინაციას, რასაც თავის დროზე აკეთებდნენ „ნაციონალები“. ამ ინიციატივას ხელს აწერდა „ქალთა პარტია“ (გუგული მაღრაძე), „საქართველოს გზა“ (სალომე ზურაბიშვილი), „ტრადიციონალისტები“ (აკაკი ასათიანი) და „სამართლიანი საქართველო“ (სერგო ჯავახიძე). 4 იანვარს შეუერთდნენ: კოალიციაში შემავალი პარტიები, „ქრისტიან-დემოკრატები“, „ახალი მემარჯვენეები“, „ლეიბორისტები“, „მემარცხენე ალიანსი“, „ნაციონალური მოძრაობა“ და ნინო ბურჯანაძე. სხდომაზე მოულოდნელად ერთი ამბავი ატეხეს კახა კუკავას წარმომადგენელმა და ჯონდი ბალათურიამ, მათ პროტესტის ნიშნად დატოვეს პარლამენტის შენობა. ბალათურიამ და კუკავას წარმომადგენელმა ხმამაღლა განაცხადეს, რომელი პარტიებიც ამ ინიციატივას უჭერენ მხარს, ისინი ხელისუფლების ფინიები არიან და კოალიციასთან არიან შეკრულებიო.

კახა კუკავა თითქმის ყველა პარტიას კოალიციასთან გარიგებაში ადანაშაულებს. როგორც სერგო ჯავახიძე ამბობს, აღნიშნული ინიციატივა ყველას აწყობს, მათ შორის, კუკავა-ბალათურიასაც, მაგრამ რაკი ამ შემთხვევაში ხელისუფლებისგანაც მხარდაჭერაა, ამიტომ აცხადებენ პროტესტს:

„მე როგორც ვუყურებ, ეგენი ასეთები არიან, მარტო თავიანთი ინიციატივები ჰგონიათ სწორი. თავიდან არ ეგონათ, რომ ჩვენს პოზიციას ხელისუფლება მხარს დაუჭერდა, ახლა რაღაც-რაღაცებზე ხომ უნდა წავიდნენ და შფოთი ატეხონ? სხვათა შორის, პალიკო კუბლაშვილი ადგა და თქვა: ვიცი, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები წინააღმდეგნი იქნებიან, მაგრამ რაკი ოპოზიციური პარტიების უმრავლესობა მხარს უჭერს, ჩვენც დაგეთანხმებითო“.

აქ ორი მომენტი დგება დღის წესრიგში: პირველი – რატომ თანხმდებიან „ნაციონალები“ იმაზე, რაც, ფაქტობრივად, მათ წინააღმდეგ იმოქმედებს? ეგენი ფიქრობდნენ, რომ პარტიის გვერდის ავლით უამრავ კანდიდატს წარადგენდნენ, ფულს დახარჯავდნენ და ადგილობრივ თვითმმართველობებში ფარულად დესანტს გადასხამდნენ. როგორც ჩანს, „ნაციონალებმა“ სხვა გზა აირჩიეს, მათ მშვენივრად იციან, რომ საინიციატივო ჯგუფების გაუქმება არადემოკრატიული ნაბიჯია და არ არის გამორიცხული, ხელისუფლება ამის გამო კიდევ ერთ სერიოზულ შარში გაეხვიოს. ყოველ შემთხვევაში, სალაპარაკო ბევრი ექნებათ; მეორე – რატომ ტოვებენ ქუთაისს დემარშით ალექსანდრე შალამბერიძე და ჯონდი ბალათურია, ხომ არ ფიქრობს კახა კუკავა, რომ ხელისუფლება სავაჭროდ დაუჯდება მაგიდასთან და მაზანდა უფრო აიწევს? ამაზე სერგო ჯავახიძე ასეთ პასუხს იძლევა:

„ვიღაცები ვიღაცებთან რომ ვაჭრობენ და რიგდებიან, ეს ერთი საკითხია, ეს ყოველთვის იყო და არის ვაჭრობის საგანი“.

ინტერფრაქციული ჯგუფის სხდომაზე ასევე ერთი ამბავი ატეხეს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმაც, მათი აზრით, ეს არის დიქტატურის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. სხდომაზე იყო მოსაზრება, რომ საინიციატივო ჯგუფების გაუქმება მომხდარიყო მხოლოდ მერებისა და გამგებლების შემთხვევაში, მაგრამ მოგვიანებით კატეგორიულად ითქვა: ეს კანონი უნდა შეეხოთ მაჟორიტარებს არა მხოლოდ ადგილობრივ არჩევნებში, არამედ საპარლამენტო არჩევნებშიც. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილის ნათქვამი იმის თაობაზე, რომ მაჟორიტარული სისტემა გადასახედია, ნაწილობრივ სრულდება. ესე იგი, თუ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად კენჭის ყრის სურვილი გამიჩნდა, ან „ნაციონალურ მოძრაობაში“ უნდა ჩავაწყო საქმე, ან კიდევ „ქართულ ოცნებაში“, სხვებთან ურთიერთობას აზრი არა აქვს, ისინი გადეპუტატების გარანტიას ვერ მომცემენ. ჩემი აზრით, აქ დგება კორუფციის დიდი საფრთხე... გაიხსენეთ კობა დავითაშვილის რესტორნული თავგადასავალი: მაიტა ფული, სიაში ჩაგწერ! ასეთ მეთოდებს იმ პერიოდში თითქმის ყველა პარტია იყენებდა და იყო ფულის გადაზიდვა-გადმოზიდვა ჩემოდნებით. კი, ბატონო, ვეთანხმები იმ აზრს, რომ „ნაციონალები“ საინიციატივო ჯგუფებსაც სათავიანთოდ იყენებდნენ, მაგრამ ხომ არ გამოვა ისე, რომ ახლა ნაბანს ბავშვსაც გადავაყოლებთ? მით უმეტეს, ხომ არ გამოიყენებენ ამ კოზირს კოალიციაში შემავალი პარტიები ცალ-ცალკე? მაგალითად, ხომ არ ისარგებლებენ ამით „რესპუბლიკელები“, ან „კონსერვატორები“ და ხომ არ დასუსტდება უფრო მეტად „ქართული ოცნება“? ჩვენ შეგვიძლია, უამრავი ვერსია და ვარიანტი განვიხილოთ, მაგრამ, როგორც კოალიციაში აცხადებენ, ეს არის დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე მიღებული გადაწყვეტილება.

ინტერფრაქციული ჯგუფის სხდომა ასევე ხმაურით დატოვეს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა“ და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა. სერგო ჯავახიძის თქმით, ისინი ვერ ერკვევიან სიტუაციაში და არ იციან, რა სიბინძურეები კეთდებოდა საინიციატივო ჯგუფების ხელით. ამ დღეებში ამ საკითხზე პარლამენტში უკვე დაიწყება საკომიტეტო მოსმენები. თუ გადაწყდება, რომ ცვლილება იქნება მხოლოდ მერებისა და გამგებლების კანდიდატების წარდგენის შემთხვევაში, მაშინ ეს ინიციატივა უკან იქნება გაწვეული და მდგომარეობა დარჩება ისეთივე, როგორიც აქამდე იყო. აქ მთავარია, ცვლილებები შეეხოთ მაჟორიტარებს. კოალიციაში უკვე ელოდებიან, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით დაიწყება ზეწოლა ხელისუფლებაზე და ლაპარაკი არადემოკრატიულ ნაბიჯებზე, მაგრამ არავითარი დათმობა არ იქნება.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

## ქუთაისის ოპერის დირექტორი ბრალდებებს პასუხობს



ქუთაისის ოპერის დირექტორი ხატია ვედმედევა ოპერის ყოფილი თანამშრომლების ბრალდებებს პასუხობს. მან ბიუჯეტის თანხებით სილამაზის სალონში ეპილაციის გაკეთება უარყო. მისი განცხადებით, ეპილაცია არა მან, არამედ სოლისტმა მამაკაცმა გაიკეთა. ვედმედევა ამბობს, ყოფილ თანამშრომლებთან დაპირისპირებას არ აპირებს და უბრალოდ, სურს, საზოგადოებას სწორი ინფორმაცია მიაწოდოს.

„არ ვაპირებ თავის მართლებას, თუმცა უნდა განვმარტო, რომ ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯვა არ მომხდარა. ჩვენ გვაქვს ხელშეკრულება სალონ „ელიზიუმთან“, სადაც ნამდვილად მოგვემსახურნენ ეპილაციით, თუმცა ეპილაცია გაიკეთა მამაკაცმა, რადგან კოსტიუმი ღია იყო და მკერდზე თმა ჰქონდა, რაც სპექტაკლისთვის არაესთეტიკურია“, – განმარტა ვედმედევამ.

ქუთაისის ოპერის რამდენიმე თანამშრომელმა ოპერის თეატრის დირექტორი ხატია ვედმედევა ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯვაში დაადანაშაულა. როგორც თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა მაკა ჯაჯანიძემ განაცხადა, ის ემიჯნება ვედმედევას დანაშაულებრივ საქციელს და თანამდებობას თავისი სურვილით ტოვებს. გვანცა გაბუნიამ წარმოადგინა დოკუმენტები, სადაც ოპერის თეატრს, ქუთაისში მოქმედ სილამაზისა და ესთეტიკის სალონ „ელიზიუმთან“ 3-ათასლარიანი გადარიცხვა აქვს გაკეთებული.

როგორც ოპერის ყოფილი თანამშრომლები აცხადებენ, ხატია ვედმედევამ აღნიშნულ სალონში თმის მელირების, პედიკიურისა და მანიკიურის გარდა, ოთხჯერ ლაზერული ეპილაციით ისარგებლა, ბიუჯეტის ხარჯით. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თეატრის დასი სამხატვრო ხელმძღვანელის არჩევნების დანიშვნას მოითხოვს



თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის შემოქმედებითი დასის ნაწილი კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს გურამ ოდიშარიას მიმართავს:

„თეატრის დასის წარმომადგენლები, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, პირადად მინისტრის, ბატონ გურამ ოდიშარიასგან მოვითხოვთ უახლოეს დღეებში დანიშნოს თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელის პირდაპირი წესით არჩევნები, რაზეც ბატონი მინისტრი სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებისას საუბრობდა. ასევე, მოვითხოვთ სასწრაფოდ გამოცხადდეს შეპირებული არჩევნების ზუსტი თარიღი. ამ მოთხოვნის საფუძველი მხოლოდ თეატრის ინტერესებია, გახსნის წელს უდიდესი სამუშაოებია ჩასატარებელი, რაც დროებითი ხელმძღვანელის პირობებში არარეალურია.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის არჩევნებისას სრულად იქნას დაცული დემოკრატიული პრინციპები და მასში მონაწილეობის საშუალება მიეცეს სამხატვრო ხელმძღვანელობის ნებისმიერ მსურველს, ხოლო ხმის მიცემის უფლება მიეცეს თეატრის მთელ კოლექტივს“, – აღნიშნა ოპერის შემოქმედებითი დასის წარმომადგენელმა იმერი კავსაძემ.

მისივე თქმით, თეატრის დასის წარმომადგენლები გურამ ოდიშარიას კიდევ ერთი პირობის შესრულებას თხოვენ, რაც თეატრის აუდიტორულ შემოწმებას გულისხმობს. (ინტერპრესნიუსი)

## რუსთავის მერი ქალაქის წყალმომარაგებაში შექმნილი პრობლემების გადაჭრას ითხოვს



რუსთავის მერი დავით ჯიქია კომპანია „რუსთავის წყალს“ მოუწოდებს, ქალაქის წყალმომარაგებაში შექმნილი პრობლემები დროულად აღმოფხვრას.

თოდრიას, კლდიაშვილისა და მე-20 მიკრორაიონების მოსახლეობის განცხადებით, უკვე რამდენიმე დღეა, რაც სასმელი წყლის მილების გაყინვისა და მრიცხველების მწყობრიდან გამოსვლის გამო, უწყლოდ არიან დარჩენილები. მერთან შეხვედრისას მოსახლეობა აცხადებდა, რომ „რუსთავის წყლის“ ავარიულ სამსახურში და კომპანიის ცხელ ხაზზე არაერთხელ დარეკეს, თუმცა უშედეგოდ.

„ზარები არ წყდება მერიის ცხელ ხაზზე. უკვე რამდენიმე დღეა, რაც პრაქტიკულად ნახევარი ქალაქის მოსახლეობა უწყლოდაა დარჩენილი. კეთილი უნდა ინებოს „რუსთავის წყალმა“, როგორც დაიწყო გამრიცხველიანებისა და სასმელი წყლის მილების სადარბაზოებში გამოტანის პროექტის განხორციელება, წარმატებულად თუ წარუმატებლად, ასევე უნდა გამოასწოროს ის პრობლემები, რომლის წინაშეც დღეს მოსახლეობა დადგა. მათი პასუხისმგებლობაა, კეთილი ინებონ, დაამატონ საავარიო სამსახურში თანამშრომლები და მოსახლეობას პრობლემა დროულად გადაუჭრან. მათი ვალდებულებაა, რომ მოსახლეობას წყალი მიეწოდებოდეს და ეს ვალდებულება უნდა შეასრულონ“, – აღნიშნა ჯიქიამ. (ინტერპრესნიუსი)



# ექსკლუზივი

# მთავარი პროკურორის კიდევ ერთი გასაიდუმლოებული ბრძანება

## რა მოთხოვნების შესრულებას აიძულებენ თანამშრომლებს?






**„ალია“ 1-ლი თებერვლის ნომერში წერდა, რომ მთავარ პროკურორად დანიშნულმა ფარცხალაძემ ერთ-ერთი პირველი, რაც გააკეთა, იყო ის, რომ გამოსცა შიდა ბრძანება, რომლითაც პროკურატურის თანამშრომლებს წინასწარი შეთანხმების გარეშე საზღვრის გადაკვეთა ეკრძალებათ, თუნდაც, ამ დროს ადამიანი შვებულებაში იყოს. ეს ბრძანება ახალ მთავარ პროკურორს, ბადაშვილს „მზითვად“ შემორჩა, მაგრამ არ გაუუქმებია. არადა, პარლამენტის იურიდულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ვახტანგ ხმალაძემ „ალიასთან“ საუბარში განაცხადა, რომ ეს ბრძანება დისკრიმინაციულია, კონსტიტუციას ეწინააღმდეგება და უნდა გაუქმდესო.**

**ამჯერად „ალიამ“ კიდევ ერთი შიდა ბრძანება მოიპოვა, რომელიც არა მხოლოდ დისკრიმინაციული, კომიკურიცაა.**

მოკლედ, არც მეტი, არც ნაკლები, ადამიანის რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ფსიქოლოგმა, ნინო ბერუაშვილმა რომელიც სამსახურიდან იყო დათხოვნილი და ლაშა ნაცვლიშვილმა უკან დააბრუნა, ახალი ინიციატივა შეიმუშავა – პროკურორებისთვის სავალდებულო გახადა, ტანსაცმლის შერჩევისას „განსაკუთრებულ“ წესებს დამორჩილებოდნენ.

ეს ბრძანება ყოფილი მთავარი პროკურორის, ფარცხალაძის ხელმოწერილია და ამ დრომდე მოქმედებს. რადგან ჩაცმულობა-აღკაზმულობის დეტალიზაცია იქნა განსაზღვრული ამ შიდა ბრძანებით, მის დეტალურ ჩამონათვალს არ მოვიყვანთ, თვალსაჩინოებისთვის მხოლოდ რამდენიმე ამონარიდს შემოგთავაზებთ:

„პროკურორის გარეგნული იერსახე პირველი სიგნალია, რომელსაც მოქალაქე აღიქვამს და რომელიც განსაზღვრავს მის შემდგომ დამოკიდებულებას არა მხოლოდ კონკრეტული პროკურორის, არამედ პროკურატურის მიმართ. პროკურორმა უნდა დატოვოს კომპეტენტური, მოწესრიგებული, სოლიდური პროფესიონალის შთაბეჭდილება. მამაკაცებისთვის – სასამართლო სხდომებზე პროკურორს უნდა ეცვას შარვლის ფერი პიჯაკი, დასაშვებია წვრილი ზოლებით, დაუშვებელია ჯინსის შარვლები. ქალებისთვის – პერანგი უნდა ეცვას საქმიანი სტილის, გრძელი სახელოებით, არადეკოლტირებული, დაუშვებელია ზედატანი, რომელიც არ ფარავს ქვედატანის სათავეს. კაბის სიგრძე არ უნდა იყოს მუხლს მაღლა, არამედ მუხლს ქვემოთ 5 სმ, დაუშვებელია „ბრიჯები“.

ზაფხულში ქალის ფეხსაცმელი ისეთი უნდა იყოს, რომ თითები არ უნდა ჩანდეს, ზამთრის პერიოდში დაუშვებელია ჩექმაში ჩატანებული შარვალი. თუ სასამართლო სხდომა არ არის და ჩვეულებრივი სტანდარტული სამუშაო დღეა, პროკურორებს უნდა ეცვათ ბიზნეს საქმიანი სტილით. წითელი, სტაფილოსფერი და ყვითელი ყველა სხვა ფერთან შედარებით განსაკუთრებით მკვეთრად და მძაფრად მოქმედებს აღმქმელზე, იწვევს მძაფრ ემოციას და გადამღლელია, ამიტომ არასასურველია ამ ფერის ტანისამოსის გამოყენება მოქალაქეებთან შეხვედრისას. დასაშვებია „დამჯდარი“ ღვინისფერი, მისი ელფერები, ბაცი აგურისფერი, ბაცი ვარდისფერი და ლიმონისფერი. ლურჯი ფერი წითლისგან საწინააღმდეგოდ სტაბილურობისა და რაციონალურობის ფერია და ამიტომ ერთ-ერთ ყველაზე ოპტიმალურ ფერად ითვლება საქმიან ჩაცმულობაში“.

რა გამოდის? გახმაურებული თუ გაუხმაურებელი საქმეების გამოძიებას ხელი თურმე იმიტომ ეშლებოდა, რომ პროკურორებს „შესაფერისად“ არ ეცვათ, ან მინიმუმ ისე, რომ „რაციონალურობის, საქმიანი, და კომპეტენტურობის“ პრობლემას ტანსაცმლის არასწორად შერჩევა ქმნიდა?

რაც მთავარია, ვინც ამ ბრძანებას არ დაემორჩილება, გენინსპექციის სამიზნე გახდება და თანამშრომელი ადმინისტრაციული წესით დაისჯება.

**„ალია“ კომენტარისთვის პროკურატურის პრესსამსახურის უფროსს, თემურ დოლიძეს დაუკავშირდა, იმის გასარკვევად, რატომ გახდა საჭირო ჩაცმულობაში ასეთი მკაცრი შეზღუდვა:**

– დახეული ჯინსებით რომ არ უნდა იაროს პროკურორმა, ალბათ, ეს ნორმალურია და ჩაცმის ასეთი სტილით, როგორიც მითითებულია. ეს ყველა სამინისტროში მიღებული უნდა იყოს. არასამუშაო დღეს რასაც მინდა, იმას ჩავიცვამ, მაგრამ სამსახურში ჯინსებით არ მივალ.

**— ჯინსი კოსტიუმთან იკრძალება? ასე არ გაცვიათ?**

– არასამუშაო დღეს მივცემ ჩემს თავს უფლებას, მუქი ჯინსი ჩავიცვა. უნდა გეცვას ნაჭრის შარვალი და შესაბამისი პიჯაკი.

**— ყველა ემორჩილებით ამ ბრძანებას?**

– ამ გადაწყვეტილებას ნამდვილად ვემორჩილებით. ყველა თანამშრომელს შესაბამისად აცვია. შეიძლება, ვილაცას ისეთი ჯინსი ეცვას, რომ თვალით არ აღიქმებოდეს, რომ ჯინსია. არ უნდა იყოს უბრალო და ქუჩური. რა ვიცი, მოგეწონებათ, ქუჩურად რომ ეცვას პროკურორს? აქ არის საუბარი მკვეთრ გადაცდომებზე. „რეპერივით“ ჩაცმული პროკურატურის თანამშრომელი ცოტა უხერხულია.

**— რამ განაპირობა ამ გადაწყვეტილების მიღება ბრძანების დონეზე, ისე ვერ ხვდებიან პროკურორები, როგორ უნდა ჩაიცვან, თუ აუცილებლად სადამსჯელო ოპერაციის გატარება გახდა საჭირო?**

– რომ მოვიდა ფარცხალაძე და ნახა, რომ არასათანადოდ ეცვათ პროკურორებს, ამიტომ გახდა საჭირო, ახალი ჩაცმის წესის შემოღება. შინაგანი განწყობა უნდა გქონდეს ადამიანს, რომ არ აკადრო სამსახურს თავისუფალი ჩაცმა, ან გამომწვევად გეცვას.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გადადგეს შიხიაშვილი და ჩვენც გადავდგებითო

ისნის რაიონის გამგებლის, თორნიკე ხუციშვილის განცხადებით, თუკი გადადგება საკრებულოს თავმჯდომარე შიხიაშვილი, გადავდგებით ჩვენც, – ასეთია საკრებულოს უმრავლესობისადმი თბილისის მთავრობის წინადადებაო.

„მეორე თვე დაიწყო, რაც საკრებულოს უმრავლესობა ქალაქის მთავარ ფინანსურ დოკუმენტს არ ამტკიცებს. დაუმტკიცებელი ბიუჯეტის პირობებში რთულდება სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის დახმარების გაწევა. პრობლემა ექმნება თითოეულ თბილისელს პრობლემის მოგვარებაში“. – აცხადებს ხუციშვილი. (ინტერპრესნიუსი)

## ირაკლი ღარიბაშვილის მოხსენება



პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ბრიუსელში, ეგმონტის საერთაშორისო ურთიერთობების სამეფო ინსტიტუტში მოხსენებით გამოვიდა და განაცხადა:

„ევროკავშირში ეტაპობრივი ინტეგრაცია წარმოადგენს საქართველოს როგორც საგარეო, ასევე საშინაო პოლიტიკის ქვაკუთხედს. ეს არის ეროვნული იდეა, რომელსაც მხარს უჭერს ქართველი ხალხი და ყველა ძირითადი პოლიტიკური პარტია. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები ქართველი ხალხის ევროპული მისწრაფების ნათელი დემონსტრირება გახლდათ. ამავდროულად, ყველა კარგად ვაცნობიერებთ, რომ ევროპული ინტეგრაცია არის უწყვეტი შიდა პროცესი, რომელიც მასშტაბურ რეფორმებს მოიცავს“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, საქართველოსთვის 2013 წელი გამორჩეული იყო მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენისა და წარმატების თვალსაზრისით.

„ნება მიბოძეთ, გამოვყო ექვსი მთავარი მიღწევა ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში: უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დემოკრატია კონსოლიდაციის ახალ ეტაპზე გადადის. ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ შეფასდა, როგორც ყველაზე სამართლიანი და თავისუფალი. ქართველმა ხალხმა ცხადყო, რომ აღარ შეეგუება განვითარების დემოკრატიული კურსიდან გადახვევას და ვფიქრობ, ეს ქართველი ერის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარია.

საქართველოში დემოკრატიის კონსოლიდაციის თვალსაზრისით კიდევ ერთი მიღწევა იყო საკონსტიტუციო ცვლილებები, რამაც აღმასრულებელ და საკანონმდებლო შტოებს შორის ძალთა ბალანსის დემოკრატიული სისტემა შექმნა. აღმასრულებელ შტოს ხელში კონცენტრირებული ძალაუფლება გადაეცა პარლამენტს, რაც ქვეყანაში წარმომადგენლობითი დემოკრატიის გაძლიერების საწინდარია.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ხელისუფლების ძალისხმევა თავისუფალი და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის უზრუნველსაყოფად. სასამართლო თანდათან იბრუნებს ხალხის ნდობასა და პატივისცემას. სამწუხაროდ, წარსულში, სასამართლო სისტემა მართლაც დისკრედიტებული იყო.

ამჟამად, ქართული მედია ისეთივე თავისუფალია პოლიტიკური ზეწოლისგან, როგორც ეს ნებისმიერ სხვა დემოკრატიულ ქვეყანაშია.

ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის უმცირესობათა უფლებების, დაცვა ჩვენს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. ამჟამად, ადამიანის უფლებების დაცვის სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავების დასკვნით ეტაპზე ვართ.

დაბოლოს, საქართველო არის ქვეყანა, სადაც ადვილია ბიზნესის კეთება, დაცულია საკუთრების უფლება და ბიზნესი თავისუფალ და კონკურენტულ გარემოში ოპერირებს. მიუხედავად ეკონომიკური გამოწვევებისა, გაორმაგდა სოციალური დახმარება, ამოქმედდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა. (ინტერპრესნიუსი)



## ალიაქოთი

# უუნარო მთავრობა და საფლავებით ნაშოვნი 20 მილიონი



„ნაციონალურმა მოძრაობამ“ გუშინ იმის გარკვევა დაიწყო, ამ ქვეყანაში ვისი „კატოკი“ ვის ასფალტს აგებს. მათი თქმით, ეს ბიზნესი მთლიანად პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის ოჯახმა „დაითრია“, მათ სახელთან ასოცირებულმა ფირმამ უკვე ცხრაჯერ მოიგო ტენდერი და, საერთო ჯამში, 15 მილიონი ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულების უფლება მოიპოვა. ირმა ნადირაშვილი და გივი თარგამაძე ისე დეტალურად ხსნიდნენ, ვინ ვისი ნათესავია და ვისი მძახალი ვისი ქვისლის მამიდა, ბრაზილიური სერიალების სცენარისტებს შეშურდებოდათ. ახლა კი შეგვიძლია მარტივად ვთქვათ, ყველამ თავის მამიდას მოუაროსო, მაგრამ...

გივი თარგამაძემ ქონებრივი დეკლარაცია ბოლოს 2013 წლის 7 მაისს შეავსო და მთავარი ის კი არ არის, რა ქონებას ფლობს, არამედ ის, რა თანამდებობას იკავებს, მისი აზრით. დეკლარაციაში ვკითხულობთ, რომ გიორგი (გივი) თარგამაძე პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეა. რა თქმა უნდა, გივიმ თავად შეავსო დეკლარაცია და თანამდებობაც თავად ჩაწერა. ამ ჩანაწერით მარტივად შეგვიძლია ვივარაუდოთ არა მარტო ის, რა სჭირს გივის, არამედ ისიც, რა დღეშია მთლიანად „ნაციონალური მოძრაობა“. მათ ისევ ძველი დრო ჰგონიათ, ისევ ჰგონიათ, რომ ხელისუფლებაში არიან, თანამდებობებსაც ძველებურად იკავებენ და ამას ოფიციალურ დოკუმენტშიც აფიქსირებენ. ეს არც არის გასაკვირი, რადგან დღევანდელი ხელისუფლების პირობებში, მთელ „ნაციონალურ მოძრაობას“ დაუსჯელობის სინდრომი აქვს შეყრილი და რატომაც არა, გასდით და აკეთებენ. რაც შეეხება ნადირაშვილს, ამ შემთხვევაში მამიდის ხსენება უპრიანია და ყველამ თავის მამიდას მოუაროს...



აქეთ კიდევ გიორგი ვაშაძემ შეუტია მთავრობას, უუნაროები ხართ, სამართლიანობის აღდგენის დაპირებით ხალხი მოატყუეთ და არც ერთი გამოძიებული საქმე ბოლომდე არ მიიყვანეთო. მეტის ღირსები არიან ხელისუფალნი და უუნაროები იქნებიან მანამ, სანამ „ნაციონალების“ მიერ დანიშნული პროკურორების მეშვეობით დაიწყებენ საქმეების გამოძიებას და სანამ ეს კოჰაბიტაცია არ დასრულდება. ერთმა ენამოსწრებულმა თქვა, კოჰაბიტაციას რა დაასრულებს, ეგენი ერთმანეთს უკვე გადაებნენ და ახლა წყლის ჭავლი თუ უშველითო.

ცოტა ხნის წინ არ იყო, შალვა ნათელაშვილმა რომ გააპროტესტა, ვარკეთილში 130 ათასი ჩინური ოჯახის ჩამოსახლება იგეგმება და გვიშველეთო. ზოგადად, საქართველოში უცხოელებს თავისუფლად მისვლა-მოსვლის შესაძლებლობა კი უნდა ჰქონდეთ, მაგრამ დამეთანხმებით, რომ თბილისი ნელ-ნელა საქართველოს დედაქალაქს კი არა, აზიისა თუ აფრიკის გარეუბანს ემსგავსება და რაც ყველაზე საინტერესოა, ჩამოსული უცხოელები ისე მარტივად იღებენ მოქალაქეობას, თავადაც უკვირთ. ერთ-ერთმა ასეთმა მოქალაქეობამიღებულმა ჩინელმა გუშინ ყაზბეგის გამზირზე გაისროლა და დაბადებიდან საქართველოს მოქალაქე სიცოცხლეს გამოასალმა. მერე იყო, ჩვენი სამართალდამცავები 15 საათი რომ ეხვეწებოდნენ, თავი არ მოიკლა და ჩაგვბარდიო და ჩინელის გადარჩენის ოპერაცია წარმატებით დასრულდა. ცნობისთვის, ამ დროის განმავლობაში გარდაცვლილი ქართველი მკვლელის გვერდით ეგდო და... 130 ათასი ჩინელის ჩამოსახლება, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, თბილისის გენოციდი იქნება. სხვათა შორის, ჩინეთის რესპუბლიკაში სიკვდილით დასჯა მოქმედებს და ეჭვი გვაქვს, ქართველს იგივე რომ გაეკეთებინა პეკინის ცენტრში, უმძიმესი განაჩენი არ ასცდებოდა, ჩვენთან კი საუკეთესო შემთხვევაში 15 წელს მისცემენ და მერე, თუ ის დაკავებული ჩინელი უარს იტყვის საქართველოს მოქალაქეობაზე და მოითხოვს, სასჯელი სამშობლოში მომახდევინეთო, არც ამაზე მიიღებს უარს, ჩვენ ხომ საერთაშორისო სკანდალში არაფრის ფასად არ ვეხვევით.

გიგი უგულავას მერობის პერიოდში, თბილისის მერიამ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შპს „ჰერმესი“ დააფუძნა და ამ შპს-ს დედაქალაქში არსებული სასაფლაოების ექსკლუზიური მართვა და სარიტუალო მომსახურების გაწევა დაეკისრა. როგორც ახლა ირკვევა, მიცვალებულები „ნაციონალებს“ მხოლოდ საარჩევნოდ არ სჭირდებოდათ და „ჰერმესის“ შემოსავალმა 20 მილიონ ლარს გადააჭარბა. აქედან მერიამ დივიდენდის სახით ორ მილიონზე ოდნავ მეტი მიიღო, დანარჩენი 18 მილიონი კი ვის ჯიბეში წავიდა, კაცმა არ იცის. ეს ის „ჰერმესია“, „ნაციონალების“ ზეობის პერიოდში არაერთი მომჩივანი რომ გამოუჩნდა, მაგრამ ზოგი მუქარით გააჩუმეს, ზოგი კი პირდაპირ ამ შპს-ს კლიენტი გახადეს. ახლა ისიც ნათელი ხდება, რა უნდოდა უგულავას იმ ვიდეოკადრებში, რომელშიც ვანო მერაბიშვილი ორ გვამს ითხოვს – გიგილო „ჰერმესისთვის“ „ჩალიჩობდა“.

გუშინდელ პროცესზე საინტერესო განცხადება გააკეთა ბაჩანა ახალაიამ. „გამოძიებას არ აინტერესებს რეალობის დადგენა, მათ მხოლოდ ჩემი ციხეში ყოფნა სურთო“, ნამინისტრალმა, და ის ათეულ ათასობით ადამიანი გააოცა, რომელიც ჯერ ვანომ, მერე კი თავად დათამ გამოამწყვდია ციხეში და მაშინაც ასე იყო – რეალობის დადგენა არავის სურდა, მხოლოდ ხალხის ციხეში ყოფნა აინტერესებდათ, რადგან, თუ გიგა ბოკერიას ვენდობით, 24 ათას პატიმარზე ნაკლები არ უნდა გვყოლოდა, თორემ ევროკავშირი დახმარებას შეგვიწყვეტდა და ციხეების შენახვა სახელმწიფოს დააწვებოდა ტვირთად.

გუშინვე ნოდარ ხადური საფრანგეთის დელეგაციის წარმომადგენლებს შეხვდა. თუ ფრანგული დელეგაციის წინა ვიზიტს გავითვალისწინებთ, მათი მასპინძლობა ხადურის უწყებასა და ბიუჯეტს 4 ათასი ლარი დაუჯდებათ, თუმცა ახლა ლარიც გაუფასურებულია, მადაც გაზრდილი და კაცმა არ იცის, შესაძლოა თანხა მეტიც იყოს. პრინციპში, ღარიბაშვილმა თქვა, აბა უცხოელებთან ხომ არ შევრცხვებითო და... ჭამე ნოდარი, რა გენაღვლება!

დასასრულ, სოზარ სუბარის ყოფილმა მრჩეველმა ლალი მოროშკინამ ორი მაწანწალა კატა შეიფარა და აღნიშნა, იმის მიუხედავად, რომ ზუნტლიანები არიან, ცხოველებს უნდა გავუფრთხილდეთ, ღამე არ გაიყინონო. ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ მე ისიც მახსოვს, 2011 წელს ქალბატონმა ლალიმ საკუთარი მაღაზიის „მორო ქეის“ პრეზენტაცია რომ მოაწყო და მთელი წელი იმას ამტკიცებდა, მხოლოდ ბეწვეულს და მხოლოდ ნატურალურ ბეწვეულს გავყიდი, ხელოვნურს ვერავინ ვერაფერს შემომაპარებსო. ნეტავ, იმ ზუნტლიანმა კატებმა თუ იციან ეს ამბავი?

ლევან ღვინიაშვილი

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ეროვნებით ჩინელი საქართველოს მოქალაქე მკვლელობაზე დააკავეს



შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ეროვნებით ჩინელი საქართველოს მოქალაქე, 1956 წელს დაბადებული, ივანე კ. დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულს, მიმდინარე წლის 4 თებერვალს, შუადღეს, თბილისში, ყაზბეგის გამზირზე მის მიერ ნაქირავებ ვალუტის გადამცვლელ პუნქტში, გვერდით მდებარე სავალუტო ჯიხურის მეპატრონე 1958 წელს დაბადებულ გენადი ლომიძესთან თანხასთან დაკავშირებით ურთიერთშელაპარაკება მოუვიდა, რის შემდეგაც ცეცხლსასროლი იარაღიდან გულმკერდის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. ლომიძე მძიმე ჭრილობის შედეგად ადგილზე გარდაიცვალა.

ბრალდებული ჯიხურში ჩაიკეტა და თვითმკვლელობით იმუქრებოდა. შემთხვევის ადგილზე გამოცხადებულმა სამართალდამცველებმა 15-საათიანი მოლაპარაკების შემდეგ ბრალდებულის განიარაღება შეძლეს და ადგილზე დააკავეს და საპატიმრო დაწესებულებაში გადაიყვანეს. (ინტერპრესნიუსი)

## ღარიბაშვილი ანდერს ფოგ რასმუსენს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ნატო-ს გენერალურ მდივანს, ანდერს ფოგ რასმუსენს შეხვდა. პრემიერის პრესსამსახურის ცნობით, შეხვედრაზე, რომელიც ნატოს შტაბ-ბინაში გაიმართა, ხაზი გაესვა ორმხრივი თანამშრომლობის მნიშვნელობას და საქართველოსთან მყარ პარტნიორულ ურთიერთობას. საუბარი შეეხო ნატო-ში ინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესს, იმ დემოკრატიულ პროცესებსა და რეფორმებს, რაც საქართველოში ბოლო პერიოდის განმავლობაში განხორციელდა.

რასმუსენმა ხაზი გაუსვა საქართველოს წვლილს საერთო ევროატლანტიკური უსაფრთხოების პროცესში, კერძოდ, საქართველოს მნიშვნელოვან წვლილს ავღანეთის მისიაში. ქართულმა მხარემ კიდევ ერთხელ დაადასტურა მზადყოფნა, მონაწილეობა მიიღოს 2014 წლის შემდგომ ავღანეთში ნატო-ს საწვრთნელ მისიაში. (ინტერპრესნიუსი)

## ინფლაცია დაგეგმილის ფარგლებშიაო



პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის, დავით ონოფრიშვილის განცხადებით, ვინც საუბრობს, რომ ლარის ცვლილება ხელოვნური პროცესია და ბიუჯეტის შევსებას უკავშირდება, ეს არაკომპეტენტურობა და ეკონომიკური უვიცობაა.

„ამ ეტაპზე გაცვლითი კურსი სტაბილურია და არის 1.77; 1.78-ის ფარგლებში. ინფლაცია არის დაგეგმილის ფარგლებში და პარამეტრები დაცულია... ლარი არ არის ერთადერთი ვალუტა, რომელიც გარკვეულ ვარდნას განიცდის. ეს ჩვენ შემთხვევაში 6%-ის ფარგლებში მოხდა. ჩვენს მეზობელ თურქეთში 25%-ის ფარგლებშია თურქული ლირის ვარდნა, რუსეთში 10%-ზე მეტია. ისინი ჩვენს ქვეყანაში მთავარი იმპორტიორები არიან და ჩვენი გაცვლითი კურსის გამყარება კიდევ უარესს შედეგს მოიტანდა“. – განაცხადა ონოფრიშვილმა.

მისივე თქმით, დეკემბერში დაფიქსირდა 8%-იანი ეკონომიკური ზრდა, გაუმჯობესებულია ვაჭრობის პარამეტრები და უპრეცედენტოდ მაღალია საექსპორტო მაჩვენებელი.

„მთლიანობაში ეკონომიკური მაჩვენებლები იქნება იმ პარამეტრებში, რაც დაგეგმილია ბიუჯეტისა და ეკონომიკური განვითარების მხრივ“, – აღნიშნა დავით ონოფრიშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. რუსი მხედართმთავარი
2. მსახიობი ... კრუსი
3. ქვის სახლის მშენებელი
5. სათავსი შენობის სარდაფში
6. კაცუნა ზურგზე პროპელერით
7. წყლის გრაციოზული ფრინველი
8. მაკედონელის ცხენი
9. ციფრი
11. გულიანი კანფეტი
12. არქიმედეს შეძახილი აბანოში
13. მსახიობი ... სხირტლაძე
14. მუსიკალური ნაწარმოების ტემპი
15. სამკურნალო მცენარე
16. სომხური გვარის ნაწილაკი
17. ქალაქი ავსტრალიაში
18. მომღერალი ... ვაიკულე
19. ხასიათი
20. არქიტექტურული სტილი
21. მოგება საქმეში, ანუ ...
22. სილამაზის ქალღმერთი
23. მსახიობი ... ჰანა
24. ნაბიჯი ბალეტში
25. მსახიობი ... ნაიტლი
26. ადრეული ხილი
27. მუხლის მოყრა ლოცვისას
28. ციმბირის წყლული
29. კედელში ჩადგმული კარადა
30. მსახიობი ანჯელინა ...
31. ბოსტნეული
32. ... შეჯდა მწყერი ხესა
33. მხ/ფ „ქალაქი ...“
35. მსახიობი ჯორჯ ...
36. სახელმწიფო ცენტრ. ამერიკაში
37. წყალბადიანი საფრენი აპარატი
38. აბელის მკვლელი
39. მოწნული ჭურჭელი
40. კომიკოსი ბენი ...
41. მდინარეზე გასასვლელი
42. ინფექც. დაავადება: გაშეშება
43. მწერალი ჭაბუა ...
44. ... ხაჩატურიანი
45. ხორცის ნახარში
46. ქალაქი ეგვიპტეში. აგებს ჰესი
47. „ბერნარდა ... სახლი“
48. ნადირობა აფრიკაში
49. ...-ვეგასი
50. ჭირი იქა, ლხინი ...
51. ახლად გამოჩეკილი თევზი
52. მერიმე. „... ფალკონე“
53. ფასიანი ქაღალდი
54. ლანგარი
55. ავი ძაღლი
56. კერძის ერთი ნორმა
57. მსახიობი ალისა ...
58 კათიონი და ...
59. ყინულის მთა ოკეანეში
60. რკინის კოროზიის შედეგი
61. „... და ქილა ერბო“
62. ძაღლის პირის ასაკრავი
63. შვედური საესტრადო ანსამბლი
64. გადახრა ნორმიდან
65. სიროფში მოხარშული ხილი
66. პიგმენტაცია კანზე
67. ნიღბებიანი წვეულე-ბა
68. იაპონელი თვითმკვლელი
69. ჩებურაშკა და ნიანგი ...
70. ფასდაკლება
71. რეჟისორი ... დე ბონტი
72. ბუნებრივი ლურჯი საღებავი
73. ეტლი-ტაქსი ძველ ლონდონში
74. მარცხი
75. საათის ციფრებიანი ფირფიტა
76. მამალი თხა
77. რეჟისორი ... კუროსავა
78. იუმორისტი ... კვირიკაშვილი
79. ეპოქა
80. ასტრონომიის მფარველი მუზა
81. კაქტუსის სახეობა
82. ფინური მობილურების ფირმა
83. ფაკულტეტის ხელმძღვანელი
84. ჯუჯა სამეფო სახ-...
85. ოცკაპიკიანი ძველად
86. თაღი
87. მსახიობი ... დიტრიხი
88. მსახიობი ... ბესინჯერი
89. იანის საპირისპირო
90. მეხის ასარიდებელი ძელი
91. მსახიობი ალეკ ...
92. მაქსიმ გორკი. „... ჩუდრა“
93. ექსპრომტი
94. ჭადრაკის ფიგურა
95. სექტემბერი ძველ ქართულად
96. ... აღმართს ხნავს
97. მსახიობი ... ბოცვაძე
98. არაბასრი, პირმოცვეთილი
99. თირკმლების დაავადება
100. კედლის შანდალი
101. მხ/ფ „ჩვენი ...“
102. იაპონური თაიგული
103. „როგორ იწრთობ. ფოლადი“ ავტორი
104. მთავარი კოჭი გემის ფსკერზე
105. შინაგანი „მე“
106. მხატვარი ავთო ...
107. დაავადება: წყლის შიში
108. ... არაფატი
109. სურდო
110. მოდელი ... კროუფორდი
111. სტალინის დედა
112. მხარე საქართველოში
113. „... ფრანკის დღიური“
114. მსახიობი ... რუსო
115. ბურუსი
116. ეთიოპიის დედაქალ. ...-აბება
117. ტყავი, დერმა
118. მოლაქლაქე
119. მდინარე საფრანგეთში
120. საწვიმარი მოსასხამი
121. მსახიობი ... ჰოფმანი
122. რეჟისორი ლუკ ...
123. ფირნიში
124. დიზაინერი კრისტიან ...
125. ალკოჰოლური სასმელი
126. მსახიობი ... ქავჟარაძე
127. ლიტვური ფულის ერთეული
128. ობობის ქსელი
129. უუფლებო ადამიანი
130. ზღაპარი „12 ...“
131. მსახიობი ... ლოლობრიჯიდა
132. მხედველობის ორგანო
133. მაგნატი არისტოტელე ...
134. საქონლის საკვები
135. კუს ჯავშანი
136. ანჩხლი
137. ყვავილი
138. ანსამბლი „...-75“
139. წყლის სამგზავრო ჭურჭელი
140. ვიქტორ ჰიუგო. „კაცი, რომელიც იცინის“ ბრმა გოგონა
141. გოლიათი ქართ. ზღაპარში
142. ლორის ნაშიერი
143. ფარაონის სამარხი

პასუხები: 1. სუვოროვი; 2. პენელოპე; 3. კალატოზი; 4. კლიტე; 5. სარდაფი; 6. კარლსონი; 7. გედი; 8. ბუცეფალი; 9. ნოლი; 10. ორნელა; 11. კარამელი; 12. ევრიკა; 13. დუტა; 14. მოდერატო; 15. კალენდარი; 16. ტერ; 17. ადელაიდა; 18. ლაიმა; 19. ზნე; 20. როკოკო; 21. ხეირი; 22. აფროდიტე; 23. დერილ; 24. პა; 25. კირა; 26. ალუბალი; 27. მეტანია; 28. ჯილეხი; 29. განჯინა; 30. ჯოლი; 31. ნიორი; 32. არა; 33. ანარა; 34. ჰოსპიტალი; 35. კლუნი; 36. ნიკარაგუა; 37. დირიჟაბლი; 38. კაენი; 39. გოდორი; 40. ჰილი; 41. ფონი; 42. ტეტანუსი; 43. ამირეჯიბი; 44. არამ; 45. ბულიონი; 46. ასუანი; 47. ალბას; 48. საფარი; 49. ლას; 50. აქა; 51. ლიფსიტა; 52. მატეო; 53. ობლიგაცია; 54. სინი; 55. ქოფაკი; 56. ულუფა; 57. ფრეინდლიხი; 58. ანიონი; 59. აისბერგი; 60. ჟანგი; 61. გლახაკი; 62. ალიკაპი; 63. „აბბა“; 64. ანომალია; 65. მურაბა; 66. ხალი; 67. მასკარადი; 68. კამიკაძე; 69. გენა; 70. სეილი; 71. იან; 72. ინდიგო; 73. კები; 74. კრახი; 75. ციფერბლატი; 76. ვაცი; 77. აკირა; 78. მზია; 79. ერა; 80. ურანია; 81. იუპიტერი; 82. „ნოკია“; 83. დეკანი; 84. მარინო; 85. აბაზი; 86. არკა; 87. მარლენ; 88. კიმ; 89. ინი; 90. მეხამრიდი; 91. ბოლდუინი; 92. მაკარ; 93. კაფია; 94. ლაზიერი; 95. ენკენისთვე; 96. ძალა; 97. ზეინაბ; 98. ბლაგვი; 99. ნეფრიტი; 100. ბრა; 101. ეზო; 102. იკებანა; 103. ოსტროვსკი; 104. კილი; 105. ეგო; 106. ვაზარი; 107. ცოფი; 108. იასირ; 109. რინიტი; 110. სინდი; 111. კეკე; 112. სვანეთი; 113. ანა; 114. რენე; 115. ნისლი; 116. ადის; 117. კანი; 118. ყბედი; 119. ლო; 120. ლაბადა; 121. დასტინ; 122. ბესონი; 123. აბრა; 124. დიორი; 125. ვისკი; 126. ლიკა; 127. ლიტი; 128. აბლაბუდა; 129. მონა; 130. თვე; 131. ჯინა; 132. თვალი; 133. ონასისი; 134. სილოსი; 135. ბაკანი; 136. ავი; 137. ია; 138. ვია; 139. მათარა; 140. დეა; 141. დევი; 142. გოჭი; 143. პირამიდა. იკითხება: პოსეიდონის მდივანი.

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


## განუკურნებელი დაავადებების დასამარცხებლად, ამერიკაში ხელოვნურ ანტისხეულებს იგონებენ



პირველ რიგში, დავიწყოთ იმით, რომ ადამიანის ორგანიზმში ანტისხეულების გამომუშავებაზე პასუხისმგებელი იმუნური სისტემაა, რომელიც წინააღმდეგობას უწევს ვირუსებს, სოკოებს, ბაქტერიებს და ასე შემდეგ, თუმცა, როგორც კი დაავადება ძალებს იკრებს, ანტისხეულების შესაძლებლობები ადვილად ქვეითდება. ამერიკელი მეცნიერების მიზანია, სინთეტიკური ანტისხეულები ნატურალურს მაქსიმალურად მიამსგავსონ და რაც მთავარია, მათი ორგანიზმში შეშვება-გამოშვება სპეციალური მედიკამენტებით შეძლონ.

– ხელოვნური ანტისხეულების დანიშნულება დაავადების განადგურება, ან თუ ეს შეუძლებელია, მისი მართვაა, – განმარტავენ ამერიკელი სწავლულები.

ამ დროისთვის უკვე შექმნილია კიბოს საწინააღმდეგო ხელოვნური ანტისხეულები, რომელთა კლინიკური გამოცდები მართალია, არ დასრულებულა, მაგრამ მძიმე ავადმყოფების თანხმობით, მათი გამოყენება მაინც ხდება. შედეგები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ კვლევა-ძიება სულ უფრო ფართო მასშტაბებს იძენს და განუკურნებელი დაავადებების დამარცხების რეალურ იმედებს იძლევა.

*dr20.ru*

## დამტკიცებულია: ერთი ნახვით შეყვარება არ არსებობს



სავსებით შესაძლებელია, რომ „ეს იყო პეტერბურგში“, ადის აბებაში, ან გნებავთ, ჩხოროწყუში, როცა თქვენი რჩეული პირველად დაინახეთ, მაგრამ გამორიცხული ყოფილა, რომ ის პირველი დანახვისთანავე შეგყვარებოდათ...

ყოველ შემთხვევაში, ბრიტანელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ სიყვარული ერთი დანახვით, უბრალოდ, არ არსებობს და მორჩა!

– სიყვარულის გრძნობა შეიძლება მეექვსედ შეხედვის შემდეგ გაღვივდეს, პირველისას კი (განსაკუთრებით ქალებში) ასეთი რამ შეუძლებელია, – ასე ფიქრობენ ნისლიან ალბიონზე.

აბა, ისე როგორ იქნებოდა, რომ აღნიშნულ საკითხზე სწავლულებს ექსპერიმენტი არ ჩაეტარებინათ, რომლის დახმარებითაც დადგინდა, რომ ქალს მამაკაცის შეფასება 45-წამიანი ურთიერთობის შემდეგ შეუძლია. გარდა ამისა, პირველად, რაზეც მშვენიერი სქესის წარმომადგენელი ყურადღებას ამახვილებს, ეს არის მომავალი კავალერის თვალები, შემდეგ თითები და ნიშნობის ბეჭედი, ხოლო ბოლოს გარეგნობა, ვარცხნილობა, ფეხსაცმელები და ასე შემდეგ.

მამაკაცების შემთხვევაში საქმე კიდევ უფრო რთულად ყოფილა, რადგან, პირველ რიგში, ძლიერი სქესი უკანალს ან მკერდს უცქერს, საერთო გარეგნობას კი მხოლოდ ამის შემდეგ აფასებს. შესაბამისად, როცა მამაკაცი საჯდომსა და მკერდს უყურებს, შეუძლებელია, ასეთ დროს სიყვარული წარმოიშვას.

*newwomen.ru*

## ბრიტანელი ახალგაზრდა მესიჯებს... ძილის დროს წერს



ურთიერთობის ერთ-ერთი საკმაოდ მოსახერხებელი მეთოდი – სატელეფონო მესიჯები ძალიან დიდი ხანია, პოპულარული გახდა და უამრავი ფანატიც გაიჩინა. ასე მაგალითად, ერთი ბრიტანელი ტელეფონს ხელიდან საწოლში წოლის დროსაც არ აგდებს და რაც ყველაზე უცნაურია, მესიჯების წერას ძილის დროსაც კი ახერხებს.

როგორც ირკვევა, ინგლისის ქალაქ სუონსის მკვიდრი 23 წლის რიჩარდ გრიფიტსი უცნაური აშლილობით იტანჯება, რომელსაც მედიკოსები ესემესმთვარეულობას უწოდებენ.

თურმე, რიჩარდ გრიფიტსის მეგობრებს აღარ უკვირთ, როცა შუა ღამისას ტელეფონზე მისგან მესიჯებს იღებენ.

თავად ახალგაზრდა ინგლისელი იმას ამბობს, რომ მართალია, დაწოლის შემდეგ მალევე ეძინება, თუმცა გრძნობს, როგორ იწყებს თავისდაუნებურად მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნას.

აღსანიშნავია, რომ ეს სულაც არ არის პირველი შემთხვევა, როცა ესემესმანიას ერთგვარი მსხვერპლი მოჰყვა. კერძოდ, ცოტა ხნის წინ 14 წლის იტალიელი გოგონა, რომელიც დღეში დაახლოებით 100 სატელეფონო შეტყობინებას გზავნიდა, საავადმყოფოში მოხვდა, სადაც მას მყესების ქრონიკული ანთების დიაგნოზი დაუსვეს.

*smoking-room.ru*

## მაყვალი ნაწლავების კიბოსგან დაგიხსნით



– მაყვალი ძალიან დიდ ეფექტს იძლევა მსხვილი ნაწლავის კიბოს მკურნალობისას, – ასეთი დასკვნა გამოიტანეს ჩიკაგოს კიბოს კვლევის ნაციონალური ინსტიტუტის სპეციალისტებმა ლაბორატორიულ თაგვებზე ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, კოლორექტარული, ანუ ნაწლავების კიბო მსოფლიოს მოსახლეობაში გავრცელებულ სიმსივნეთა სახეობებში რიგით მესამე ადგილს იკავებს. შესაბამისად, ამერიკელი ონკოლოგების მიგნებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ექსპერიმენტის ფარგებში მეცნიერებმა ლაბორატორიული თაგვები ორ ჯგუფად გაყვეს და ორივეს სპეციფიკური გენი შეუყვანეს, რომელიც ნაწლავების ანთებას, ანუ კოლიტს იწვევდა. თავის მხრივ, კოლიტი მსხვილი ნაწლავის ანთების შედეგია, რასაც შესაძლოა, კოლორექტარული კიბოს განვითარება მოჰყვეს. ამასთანავე, პირველი ჯგუფის მღრღნელების რაციონში სპეციალისტებმა ჩვეულებრივი საკვები შეიტანეს, მეორეში კი მაყვლის ფხვნილი იყო დამატებული.

ჰოდა, აღმოჩნდა, რომ მაყვლით გამოკვებილ თაგვებში ნაწლავების კიბოს გაჩენის რისკი მთელი 45 პროცენტით იყო შემცირებული.

კვლევის ავტორები იმედოვნებენ, რომ ხელისუფლებისგან ან საქველმოქმედო ფონდებისგან მიიღებენ შესაბამის დაფინანსებას, რათა ექსპერიმენტები ახლა უკვე ადამიანებზეც ჩაატარონ და ჯანმრთელობაზე მაყვლის ზემოქმედების შესახებ კიდევ უფრო ამომწურავი ინფორმაცია მიიღონ.

*webplus.info*

## შვრიის ფაფის მოყვარულებს ასთმა არ აშინებთ



მართალია, შვრიის ფაფა არცთუ გემრიელი და გამორჩეული კერძია, მაგრამ ადამიანის ჯანმრთელობაზე მისი დადებითი ზემოქმედების შესაძლებლობებს თუ გავითვალისწინებთ, ადვილად მივხვდებით, რამხელა შეცდომას ვუშვებთ, როცა მასზე სასტიკ უარს ვამბობთ.

გარდა იმისა, რომ შვრიის ფაფას კუჭის მოქმედების გამოკეთება შეუძლია, დადებითად მოქმედებს თირკმლებზე, ამცირებს სისხლში ქოლესტერინის შემცველობას და ასე შემდეგ, დადგინდა, რომ მას ადამიანის ასთმისგან გადარჩენაც შეძლებია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ადამიანს, რომელიც შვრიის ფაფას ბავშვობიდან ჭამს, ასთმის განვითარების რისკი მთელი 60 პროცენტით უმცირდება.

იმისთვის, რათა შვრიის ფაფამ გარანტირებული ეფექტი გამოიღოს, სპეციალისტები გვირჩევენ, იგი დღეში ერთხელ მაინც მივიღოთ. ამასთანავე, მისი მიღება ნებადართულია 5 თვის ჩვილებისთვისაც.

*myjane.ru*

## რემონტი — გამოცდა არა მხოლოდ ჯიბისთვის, არამედ ადამიანის ჯანმრთელობისთვისაც



ამბობენ, სახლის რემონტი შესაძლოა, ნამდვილ კატასტროფად იქცეს, რადგან ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ ადამიანს მთელი ბიუჯეტი თვალის დახამხამებაში გაუნადგურდეს, თუმცა, ალბათ, ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ რემონტმა შესაძლოა, სერიოზული დარტყმა ჯანმრთელობასაც მიაყენოს.

ყველაფერში დამნაშავე ის შენაერთებია, რომელსაც საღებავები და წებოები შეიცავენ. კერძოდ, საღებავი საფრთხეს უქმნის როგორც პროფესიონალ მღებავებს, ისე ჩვეულებრივ ადამიანებს, რომლებსაც კედლის შეღებვის სურვილი აქვთ. ამასთანავე, საღებავი განსაკუთრებით საშიშ ნივთიერებებს გაშრობის შემდეგ გამოყოფს.

საფრთხის შემცველია ისეთი ბანალური პროცედურებიც, როგორიცაა, მაგალითად, ძველი შპალერის ჩამოხევა ან კიდევ, ნივთების გადაადგილება, რადგან ასეთ დროს ჰაერი საშიში ბაქტერიებით ივსება.

სპეციალისტები გვირჩევენ, რომ რემონტის დროს, თუნდაც ერთი შეხედვით, ყოვლად უწყინარ ცვლილებას გეგმავდეთ, აუცილებელია ნიღბების გამოყენება და ოთახების მუდმივი განიავება სამუშაოების დასრულებიდან რამდენიმე კვირის განმავლობაშიც კი.

*medkarta.com*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



– კოტე, რატომ ხარ ასეთი მოწყენილი?

– ვაჟი შემეძინა და...

– ოოო, მომილოცავს, მომილოცავს! რა დაარქვით?

– ლუდოვიკო.

– ლუდოვიკო რატომ?

– იმიტომ, რომ მეთოთხმეტეა, მაგის დედაც ვატირე!!!

*****



– რა ვერ გამიგია, იცით? აი, ფილმებში დაპანიკებული მსხვერპლი ლამის 100 კილომეტრ/საათის სიჩქარით გარბის, მანიაკი სეირნობით მიჰყვება და მაინც ეწევა ხოლმე, ეს ახვარი...

*****

– მამიკო, როცა გავიზრდები, ყველაფრის გაკეთებას შევძლებ, რაც მომინდება?

– ეჰ!.. არა, შვილო, რომ გაიზრდები, უკვე ცოლი გეყოლება...

*****

მასწავლებელი მოსწავლეებს:

– ვინც ფიქრობს, რომ სულელია, ფეხზე ადგეს!

კლასში სიჩუმეა. ცოტა ხანში ბოლო მერხთან კოტე წამოიზლაზნა.

– აბა, კოტე, შენ ფიქრობ, რომ სულელი ხარ?

– არა, უბრალოდ, უხერხულია, მარტო თქვენ რომ დგახართ...

*****

– საყვარელო, მიყიდე 8 მარტისთვის საჩუქარი?

– აბა, რა?!

– და მომეწონება?

– რა ვიცი, თუ არ მოგეწონა, შეგიძლია დამიბრუნო – მასეთ ანკესზე დიდი ხანია, ვოცნებობ...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

პოლიტიკური პარტია „ეროვნული ფორუმი“ ღრმა მწუხარებით იუწყება პარტიის გენერალური მდივნის რევაზ შავიშვილის მამის

**ლეონიდე შავიშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## კითხვის ცოდნა ტვინს სხვა უნარ-ჩვევების განვითარებაში ხელს უშლის?



ასეთი არასასიამოვნო მოულოდნელობის შესახებ ინფორმაცია ფრანგმა მეცნიერებმა გაავრცელეს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ კითხვის სწავლის პროცესში ადამიანის ტვინის შესაძლებლობების ლამის მთელი რესურსი იწყებს მუშაობას, რასაც ის შედეგი მოჰყვება, რომ სხვა უნარ-ჩვევებზე პასუხისმგებელი ნაწილები სერიოზული წნეხის ქვეშ ექცევიან.

როგორ მოქმედებს კითხვის ცოდნა ტვინის ფუნქციონირებაზე, ამ მოვლენის დადგენა საფრანგეთის ჯანმრთელობისა და სამედიცინო კვლევების ინსტიტუტის სპეციალისტებმა გადაწყვიტეს და მიღებული შედეგით თავადაც უსაზღვროდ გაკვირვებულები აღმოჩნდნენ.

ექსპერიმენტში მონაწილეობისთვის მკვლევარებმა 63 პორტუგალიელი და ბრაზილიელი მოხალისე მიიწვიეს, რომელთაგან 11-მა კითხვა საერთოდ არ იცოდა, 22-მა სასურველ შედეგს სოლიდურ ასაკში მიაღწია, დანარჩენებს კი კითხვა სკოლაში ჰქონდათ ნასწავლი. ამასთანავე, ექსპერიმენტის არც ერთი მონაწილე ინტელექტის უმაღლესი დონით არ გამოირჩეოდა.

კითხვის შესაძლებლობების შეფასების შემდეგ, მოხალისეებს ტვინის მაგნიტორეზონანსული ტომოგრაფია ჩაუტარდათ, რათა გარკვეულიყო მათი რეაქციები ტვინის სხვადასხვაგვარი ხერხებით სტიმულირების დროს. მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ კითხვის ცოდნა, მიუხედავად იმისა, რა ასაკში შეისწავლა ის ადამიანმა, მართლაც უდიდეს გავლენას ახდენს ტვინის რეაქციებზე.

პირველ რიგში, წიგნის კითხვის ცოდნა ართულებს თავის ტვინის მხედველობითი ზონის ორგანიზებულ მუშაობას და მეორე – უარყოფით გავლენას განიცდის ზეპირი ტექსტის აღქმის უნარი.

*gazeta.ru*

## ქალის ტვინს შიმშილის გრძნობის დაძლევა არ შეუძლია



წარმოიდგინეთ, მართლაც რამხელა ცდუნებაა, როცა ცხვირწინ ოხშივარადენილი ხინკალი გიდევს, გვერდიდან მწვადის სურნელიც მოდის, ვიღაც ლუდს შეექცევა და პირველი ყლუპით მოგვრილი სიამოვნებისგან თვალებს ნაბავს...

არა, ასეთი ცდუნების გაძლება შეუძლებელია, თუმცა აღმოჩნდა, რომ თავის შეკავება განსაკუთრებით მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს უჭირთ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერიმენტი ამერიკელმა მეცნიერებმა ჩაატარეს, რომელშიც რამდენიმე ათეული მამაკაცი და ქალი იყო ჩართული. მათ დაევალათ, 17 საათის მანძილზე არაფერი შეეჭამათ, შემდეგ კი კვლევის ავტორებმა მათ გემრიელი კერძები შესთავაზეს, რის პარალელურადაც მოხალისეების ტვინის აქტივობებს აკვირდებოდნენ.

აღმოჩნდა, რომ ასეთ „უმოწყალო წამებას“ გაცილებით უკეთესად მამაკაცებმა გაუძლეს, ქალები კი, ფაქტობრივად, დანებდნენ და შიმშილის დაკმაყოფილებას მთელი მონდომებით შეუდგნენ. რაც ყველაზე მთავარია, მშვენიერი სქესის თავის ტვინმა გაცილებით დიდი აქტიურობა გამოავლინა, ვიდრე ეს ძლიერი სქესის შემთხვევაში დაფიქსირდა.

*zdr.ru*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**6 თებერვალი:** დღეს საკუთარი აზრის დაცვა მოგიწევთ. კარგი იქნება, თუ ფიზიკურ ძალას არ გამოიყენებთ, უმჯობესია, არგუმენტები მოიმარაგოთ.

**კურო 22.04-21.05**
**6 თებერვალი:** აღმოაჩენთ, რომ ის, რაშიც წინა დღეს მყარად იყავით დარწმუნებული, ნელ-ნელა საფუძველს კარგავს და საპირისპირო აზრზე დგებით. იქნებ ეს უკეთესიც არის.

**ტყუპები 22.05-21.06**
**6 თებერვალი:** სულაც არ ხართ ვალდებული, გაითვალისწინოთ რჩევა, თუკი ის არასწორად მიგაჩნიათ, თუნდაც რჩევის ავტორი ამ სფეროში დიდ სპეციალისტად ითვლებოდეს.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**6 თებერვალი:** თქვენი პირადი ცხოვრების საკითხები ყველა პრობლემას გადაფარავს.

**ლომი 23.07-22.08**
**6 თებერვალი:** შეეცადეთ, დღეს ზურგი არავის უჩვენოთ. ეს სუსტი წერტილია, შესაძლოა, ვიღაცას თქვენზე თავდასხმა მართლაც მოუნდეს.

**ქალწული 23.08-22.09**
**6 თებერვალი:** შეეცადეთ, თქვენი აზრები და მით უმეტეს, გრძნობები სახეზე არ აგესახოთ. ვიღაცა თქვენს მიმიკას აკვირდება და სასურველი არ არის, გაიგოს რა გიდევთ გულში.

**სასწორი 23.09-22.10**
**6 თებერვალი:** რატომღაც დღეს წყლის სტიქია განსაკუთრებულად გაგიტაცებთ. მოერიდეთ, სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

**მორიელი 23.10-21.11**
**6 თებერვალი:** შეცვალეთ, რაც შესაცვლელად მიგაჩნიათ, მაგრამ ზედმეტებში არ გადახვიდეთ. არავინ იცის, რა შედეგებს მიიღებთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**6 თებერვალი:** დღეს თქვენში იდეალურად იქნება შერწყმული ოპტიმიზმი და რეალიზმი. უცნაურია, მაგრამ საინტერესო ნაზავია.

**თხის რქა 22.12-19.01**
**6 თებერვალი:** თუ დღეს კომპრომისულ გადაწყვეტილებას დასთანხმდებით, უფრო მეტს მოიგებთ, ვიდრე წააგებთ. თუ გაჯიუტდებით, სიტუაცია არ გამოსწორდება.

**მერწყული 20.01-18.02**
**6 თებერვალი:** ენერგიული კი ხართ, მაგრამ აუსრულებელ მიზნებს ისახავთ. რატომ წვალობთ, რამე რეალური შეარჩიეთ და წარმატებასაც მიაღწევთ.

**თევზები 19.02-20.03**
**6 თებერვალი:** ხშირად დიდ უხერხულობას ქმნის, როდესაც რაღაცის შეცვლა ჯიუტად არ გსურთ. შეიძლება ამაზე ხშირად ფიქრობთ ხოლმე. რატომ იტანჯავთ თავს?

## მეცნიერები „ეშმაკის ბიბლიას“ სწავლობენ



XVII საუკუნეში შვედმა დედოფალმა კრისტინამ საჩუქრად უნიკალური რამ მიიღო – „ეშმაკის ბიბლია“, რომელიც კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მანუსკრიპტია და რომელსაც ძალიან ხშირად მსოფლიოს მერვე საოცრებასაც უწოდებენ.

624-გვერდიანი მანუსკრიპტის წონა 75 კილოგრამია, სისქე კი – 22 სანტიმეტრი. წიგნის შექმნას მისმა ავტორებმა 160-მდე სახედრის ტყავი დაახარჯეს.

„ეშმაკის ბიბლია“ ვულგატის ტექსტს შეიცავს, რომელიც ბიბლიის ლათინური თარგმანი გახლავთ, თუმცა უსაზღვრო პოპულარობა იმით მოიპოვა, რომ 290-ე გვერდზე თვით ლუციფერია გამოსახული.

არსებობს ლეგენდა, რომლის თანახმადაც, ეს მანუსკრიპტი ჩეხეთის ქალაქ პოდლაჟიცეში მცხოვრები ბენედიქტური მონასტრის მორჩილის ეშმასთან შეთანხმების შედეგად XII საუკუნეში გაჩნდა.

კერძოდ, ბერმა, რომელმაც დაშვებული შეცდომის გამო ტაძრის წინამძღვრის რისხვა დაიმსახურა, პირობა დადო, რომ შექმნიდა არა მხოლოდ საუკეთესო ბიბლიას, არამედ უნიკალურ ილუსტრაციებსაც დაურთავდა, რითიც მონასტერს სახელს გაუთქვამდა.

შუაღამისას, როცა სასულიერო პირი საქმეს შეუდგა, მიხვდა, რომ დანაპირებს ვერ შეასრულებდა და დახმარებისთვის სატანას მიმართა. ლეგენდაში ნათქვამია, რომ სანაცვლოდ ეშმამ ბერისგან სული და ასევე, ბიბლიის ერთ-ერთ გვერდზე მისი „პორტრეტის“ ჩახატვა მოითხოვა...

მკვლევარების აზრით, იმისთვის, რომ ავტორმა ასეთი ნაშრომი მოამზადოს, დაახლოებით 10 წელი მაინცაა საჭირო. არსებობს მოსაზრებაც, რომ წიგნი რამდენიმე ადამიანს აქვს დაწერილი, თუმცა ხელწერა აშკარად ერთსა და იმავე ადამიანს უნდა ეკუთვნოდეს, რომელმაც, გადმოცემის მიხედვით, ბიბლია წინამძღვარს სულ რამდენიმე დღეში ჩააბარა.

წიგნის თითქმის შუა ნაწილში ჩახატული ეშმაკის გამოსახულება მუქი შეფერილობით გამოირჩევა, ვიდრე დანარჩენი ილუსტრაციები ან ტექსტი. მორწმუნეები მიიჩნევენ, რომ აღნიშნულის მიზეზი ბნელი ძალების ზემოქმედება უნდა იყოს.

შეგვიძლია იმის თქმაც, რომ სატანის გამოსახულების მოპირდაპირე მხარეს ღვთაებრივი სამეფოა აღბეჭდილი, რომელიც კეთილსა და ბოროტს შორის მუდმივ ჭიდილს ასახავს.

რამდენმა ადამიანმა იმუშავა „ეშმაკის ბიბლიის შექმნაზე“? მართლაც ლუციფერია თუ არა გამოსახული 290-ე გვერდზე? რა საიდუმლოებებს მალავს წიგნი? სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად გამოიყო მეცნიერთა ჯგუფი, რომელიც შედეგებს, ალბათ, უახლოეს მომავალში გაავრცელებს.

*tainamira.ru*

მოამზადა მიხეილ სახვაძემ



„სასაცილო სიგარეტების“ მოყვარულმა ოფიცერმა რიგითები მწკრივში დააყენა, ყველას თითო „პაპიროსი“ ჩამოურიგა და უთხრა:

– ვითვლი ხუთამდე, ვინც მოასწრებს და მოსაწევს შეახვევს, 10-დღიან შვებულებას ვაძლევ... 1, 2, 3, 4, 5. სწორდით!

ჩამოუარა მწკრივს. ხედავს, ყველა რიგითს ხელში იდეალურად გამზადებული მოსაწევი უკავია, მარტო ერთი დგას ხელებჩამოშვებული და გაღიმებული სადღაც იყურება.

– შენ რა, არ გინდოდა სახლში წასვლა?!

– მე უკვე სახლში ვარ, ბატონო ოფიცერო!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია ≫ 211359457 კვირის ქრონიკა
დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212033 პირადი (112)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი
ტექნიკური რედაქტორი
ბადრი ქევანიშვილი

რედაქციის მისამართი:
აკადემქალაქი, I კვარტალი
მე-4 კორპ.
I სართული
(ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.30

ISSN 2298-0008
9 772298 000000
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80 ან 233 20 06
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
® დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.